*დანართი №5*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
***სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა***

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნათელა ბასილია

**წევრები:**

ნატალია ბეიტრიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნონა ლაგვილავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | **სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა** |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **საჯარო სამართლის იურიდიული პირი** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **236087550** |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ციხისძირი** |
| ფაქტობრივი მისამართი | **მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ციხისძირი** |
| საფოსტო ინდექსი | **3312** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | **www.skolebi.emis.ge** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | mtstsikhisdziri@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 01 აპრილის N-2 26 0000389919 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 30 აპრილი და 1 მაისი, 2026 წელი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ციხისძირი. 1 შენობა |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ციხისძირი. 1 შენობა |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ციხისძირი. 1 შენობა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, **სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლაში 2026 წლის 30 აპრილს და 1 მაისს,** განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, შეთანხმდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და გადაეგზავნა სკოლას.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით და მშვიდ ვითარებაში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი და სასწავლო გარემო. შედგა გასაუბრება საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და სამივე საფეხურის მშობლებთან.
საგნობრივ ექსპერტები ონლაინ გაესაუბრნენ პედაგოგებს და მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა, სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| **წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა** | **აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა** | **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა** |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში არსებული თანამშრომლობითი მიდგომები და საერთო ღირებულებებისადმი ერთგულება ქმნის კეთილგანწყობილ, ინკლუზიურ და მოტივაციის განმამტკიცებელ გარემოს. სკოლაში შემოღებულია თანამედროვე სასკოლო ფორმები სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის. აღნიშნული პრაქტიკა დადებითად არის მიღებული სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის მიერ და აღიქმება როგორც თანასწორობის, დისციპლინის, უსაფრთხოებისა და სკოლისადმი მიკუთვნილების განცდის გამაძლიერებელი მექანიზმი. რაც, თავის მხრივ დადებით გავლენას ახდენს როგორც სასწავლო პროცესზე, ისე სასკოლო კლიმატზე და წარმოადგენს სკოლის ინსტიტუციური კულტურის მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს.

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>--- 400 --- | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

| *სტანდარტი N* | | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| ***სტანდარტი N1*** | **სკოლის ფილოსოფია** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 1.1.1.3.* | სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განხორციელება. კერძოდ: სამუშაო ჯგუფის შექმნა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების და სტარტეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად და ამ ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოების დადასტურების მტკიცებულებების შეგროვება.* |
| | | |
| ***სტანდარტი N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი N 3.1.2.4.* | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო* |

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | | *მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესში" 2026 წლის 20 აპრილს ერთობლივი №58/ნ/№14/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით.* |
| *ინდიკატორი N 3.2.1.1.* | სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ისეთი დოკუმენტის შექმნა და დამტკიცება, რომელიც მოიცავს სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის მექანიზმებს, შერჩეულ შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს.* |
| *ინდიკატორი N 3.3.1.1.* | სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სრულყოფილი დოკუმენტის შემუშავება, რომელშიც დაზუსტდება ცალკეული პუნქტები. მათ შორის: სკოლის ხარისხის მართვას კონკრეტული პირი წარმართავს თუ სამსახური; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი რა პერიოდში შემოწმდება; რა ვადაში გაიწერება და დამტკიცდება პროცესების დოკუმენტები და სხვა.*<br>*ასევე, განახორციელოს ცვლილება 2026 წლის 21 იანვრის, სკოლის დირექტორის N43 ბრძანებაში, ან ძალადაკარგულად გამოცხადოს იგი და მის ნაცვლად იმოქმედოს "მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის N641 დადგენილების შესაბამისად.* |
| *ინდიკატორი N /* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ | • *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 31 აგვისტომდე უზრუნველყოს სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან.* |

| | | |
|---|---|---|
| | ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა | • *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - მარტი, 2027) უზრუნველყოს* ***უფლებამოსილი/ აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა წარმოდგენა.*** |
| *ინდიკატორი N 3.4.1.2.* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესში" 2026 წლის 20 აპრილს ერთობლივი №58/ნ/№14/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით.* |
| *ინდიკატორი N 3.6.3.5.* | ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს სკოლის ვებ გვერდზე შემდეგი ინფორმაციის განთავსება: პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); ინფორმაცია ფინანსური მდგრადობის შესახებ; სასწავლო პროცესთან* |

| | | |
|---|---|---|
| | მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია | *დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და გასაჩივრების მექანიზმები.* |

| *სტანდარტი N2* | **სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ***ინდიკატორი N 2.1.2.1.*** | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | ***საგანი: კომპიუტერული ტექნოლოგიები***<br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026- სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს<br>●კურიკულუმის ჩარჩო ცხრილში სვეტების დასახელება ყველა კლასში იყოს ერთგვაროვანი და შეესაბამებოდეს შინაარსს.<br>● სამიზნე ცნებები გაიწეროს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად. ცნება „ინფორმაცია" გადატანილ იქნას და დაუკავშირდეს „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ)" მიმართულებას. ცნება „(ალგორითმი) პროგრამული კოდი" დაუკავშირდეს „კომპიუტერული ტექნოლოგიების" მიმართულებას.<br>● საფეხურის ფარგლებში დამუშავდეს მოქმედი სტანდარტის შესაბამისი ყველა სამიზნე ცნება, მათ შორის „მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი". |
| ***ინდიკატორი N 2.1.2.2.*** | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026- სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს მოქმედი სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმების შემუშავება საგან "კომპიუტერული ტექნოლოგიებისთვის". |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| **სტანდარტი N1** | **სკოლის ფილოსოფია** | **რჩევა** |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 1.1.1.6.* | *სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს* | *სასურველია, სკოლამ განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სკოლის ამჟამინდელი სრული სახელწოდების შესაბამისად. (იხ. ინდიკატორის აღწერა)* |
| *ინდიკატორი 1.2.1.3.* | *სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას* | *სასურველია, სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი ეტაპები იქნას გათვალისწინებული 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცებისას.* |
| *ინდიკატორი 1.2.1.4.* | *სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები / სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია* | *სასურველია, მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში დაზუსტდეს რესურსების ნაწილი. კერძოდ, დააკონკრეტდეს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.* |
| **სტანდარტი N3** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | **რჩევა** |
| *ინდიკატორი N 3.1.1.1.* | *სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული* | *სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოფს, იერარქიული სტრუქტურის შესაბამისი ისეთი ჩარჩო დოკუმენეტის შექმნა, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალის ფუნქციები, მოვალეობები, ამოცანები და მათი საქმიანობის როლი დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომი გახადოს დაინტერესებულ პირთათვის ხელშეკრულების გაფომებამდე.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N 3.1.2.2.* | *სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა* | *სასურველია, მიმდინარე პროცესების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებამ, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტებში, გაწეროს და შესაბამისად შრომით ხელშეკრულებებში გაითვალისწინოს პოზიციის შესაბამისი ფუნქციების დროებითი გადანაწილება.* |
| *ინდიკატორი N 3.2.1.5.* | *წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები* | *სასურველია, სკოლამ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, წახალისების ფორმები და სხვა, არსებული ბიუჯეტისა და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით.* |
| *ინდიკატორი N 3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას* | *სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.* |
| *ინდიკატორი N 3.5.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით* | *სასურველია, ცვლილებები განხორციელდეს საჯარო რეესტრში არსებულ რეგისტრირებულ მონაცემებში სკოლის **შენობა-ნაგებობების, სახელწოდების და სარგებლობის** ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.*<br><br>*(იხ. ინდიკატორის აღწერა)* |

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N2*** | ***სასკოლო კურიკულუმი***<br>*ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | ***რჩევა*** |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N.2.1.2.1.* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | *სასურველია, **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** ყველა კლასის კურიკულუმს დანართის სახით ჰქონდეს თანდართული კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება შესაბამისი აქტივობებით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი.*<br><br>*სასურველია, **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნების პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე მე - 3 კლასიდან, მოაწესრიგონ შემოქმედებითი დავალების იდეები (პირობა და კრიტერიუმები განათავსონ დავალების ბარათში და მატრიცებში). მესამე კლასის "მე და საზოგადობის" კურიკულუმში თემის ნაცვლად მიმართულება წერია, სასურველია შეიცვალოს (ტექნიკური შეცდომაა).*<br>*სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ სამივე საფეხურზე მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ტიპის დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.*<br>*დაწყებითი კლასების კურიკულუმის შესაბამის გრაფაში აისახოს ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები: სახელმძღვანელოდან გვერდების მითითებით, ელექტრონული რესურსების ბმულები ჩასმულ იქნას საკითხების სახელწოდებების მითითებით.*<br><br>*სასურველია, **ესთეტიკური** აღზრდის ორივე საგნის კურიკულუმებში დაწყებით საფეხურებზე ნაჩვენები იყოს თემის/საკითხისთვის დათმობილი ჯამური საათების რაოდენობა. ასევე სასურველია, რომ მუსიკის ყველა კურიკულუმის რესურსების გრაფაში მოცემულ იქნას გრიფირებული სახელმძღვანელოს თემის/საკითხის შესაბამისი გვერდები* |

| | | |
|---|---|---|
| | | *და ჩაშენებულ იქნას საკითხთან რელევანტური დამატებითი რესურსების მოქმედი ლინკები.*<br>*სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების III-IV-V კლასების კურიკულუმებში მითითებულ იქნას სავალდებულო თემები.*<br>*სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში სასურველია, მითითებულ იქნას შემოქმედებითი დავალებების მხოლოდ ის რაოდენობა, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია მიმდინარე სასწავლო წლის ფარგლებში.*<br><br>*სასურველია, მომდევნო სასწავლო წლის* ***სახელმწიფო ენის*** *კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების გასააქტიურებლად, მეტი ყურადღება დაეთმოს:*<br>*ა) საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს;*<br>*ბ) ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავებას;*<br>*გ)პროექტულ სწავლებას.* |
| *ინდიკატორი N.2.1.2.2.* | *კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს* | *სასურველია,* ***საზოგადოებრივი მეცნიერებებისთვის,*** *შესასწავლი თემის ფარგლებში დაკონკრეტეს ძირითადი საკითხი, კომპლექსური ტიპის დავალების იდეა. დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თითოეულ საკითხთან მიმართებით, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში.*<br><br>*სასურველია,* ***უცხოური ენების*** *კურიკულუმებში დაკონკრეტდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/ებით დამუშავდება; კურიკულუმებში გაიწეროს შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს.* |

| | | |
|---|---|---|
| | | სასურველია, **სახელმწიფო ენის** კურიკულუმებში დაზუსტდეს საფეხურის შედეგები და თითოეული თემის ფარგლებში გრძელვადიანი მიზნების დასამუშავებლად განსაზღვრული საკითხი. |
| ინდიკატორი N.2.1.2.3. | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | სასურველია, **მუსიკის** მე-3 კლასის კურიკულუმში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა - ძირითად რესურსად მითითებულია გამომცემლობა "წყაროსთვალის" სახელმძღვანელო, რომელსაც არ აქვს მინიჭებული გრიფი. კურიკულუმში უნდა მითითებულ იქნას ის გრიფირებული სახელმძღვანელო, რომლითაც ხელმძღვანელობს სკოლა, "წყაროსთვალის" სახელმძღვანელო კი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე რესურსი. ასევე სასურველია, რომ მუსიკის ყველა კურიკულუმში იყოს ჩაშენებული დამხმარე რესურსების მოქმედი ლინკები.<br><br>სასურველია, **სახელმწიფო ენის** მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების და საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ.რესურსების (ანიმაციების, ფილმების, პოდკასტების) გამოყენებაზე.<br><br>სასურველია, საგან **ტექნოლოგიების** კურიკულუმში, რესურსების აღწერის უფრო მეტი დაკონკრეტება და ერთგვაროვნება, კერძოდ:<br>● დამხმარე რესურსად მითითებულ სახელმძღვანელოში აუცილებელია კლასის დაზუსტება, რათა ცალსახად იკვეთებოდეს მისი გამოყენების სფერო;<br>● შემოქმედებითი დავალებების რესურსებთან მიმართებით საჭიროა მიეთითოს კონკრეტულად რომელი კლასის სახელმძღვანელო გამოიყენება;<br>● დამხმარე სახელმძღვანელოს გამოყენება კურიკულუმში მიზანშეწონილია იყოს დაკავშირებული კონკრეტულ საკითხებთან |

| | | |
|---|---|---|
| | | ან თემებთან, რათა მკაფიოდ ჩანდეს მათი ფუნქციური როლი სასწავლო პროცესში (მე-3 კლასის კურიკულუმი).<br>სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს უფრო მეტი მრავალფეროვანი მატერიალური და ელ.რესურსები, ვიდრე განსაზღვრულია ძირითადი და დამატებითი რესურსებითა თუ საფეხურის კურიკულუმით. ეს უზრუნველყოფს რესურსების გამოყენების გამჭვირვალობას და კურიკულუმის უფრო სტრუქტურირებულ დაგეგმვას. |
| ინდიკატორი N.2.1.2.4. | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | სასურველია, საგან **სახელმწიფო ენაში,** სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება;<br>მიზნობრივი სოციალური პროექტების განხორციელება. |
| ინდიკატორი N.2.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | სასურველია, **ესთეტიკის** კათედრამ შეიმუშავოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული შეფასების კრიტერიუმები.<br><br>სასურველია, **სახელმწიფო ენის** კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება.<br><br>საურველია, **საგან მათემატიკის** თითოეული დავალებისთვის შექმნან და გამოიყენონ კონკრეტული თემის/საკითხის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევ[ის] ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.<br><br>სასურველია, **საგან ტექნოლოგიებისთვის**<br>• შეფასების კრიტერიუმები სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სამიზნე ცნებებთან; |

| | | |
|---|---|---|
| | | ● სოლო ტაქსონომიის გამოყენებისას უზრუნველყოფილ იქნას სწორი ცნების შერჩევა და აღწერა;<br>● შეფასების რუბრიკები პერიოდულად გადაიხედოს ესგ-სთან შესაბამისობის მიზნით |
| ინდიკატორი N.2.2.1.1. | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად | სასურველია, **საგან ტექნოლოგიებისთვის**<br>● განახლდეს კურიკულუმი და უზრუნველყოფილ იქნას მისი სრული შესაბამისობა მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან;<br>● ჩანაცვლდეს ძველი სტანდარტის სამიზნე ცნება „კომპიუტერის აგებულება" თანამედროვე შინაარსით „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები";<br>● კურიკულუმში ინტეგრირდეს სამიზნე ცნება „მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი" შესაბამისი საკითხებითა და აქტივობებით;<br>უზრუნველყოფილ იქნას სამიზნე ცნებების სრული და თანმიმდევრული დაფარვა სასწავლო პროცესში. |
| ინდიკატორი N.2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | სასურველია, **სახელმწიფო ენის** შემაჯამებელ დავალებებს მიეთითოს სტანდატრის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება და კრიტერიუმით განსაზღვრული ქულები ჩაშლილი სახით დაკონკრეტდეს.<br><br>სასურველია, საგან **ტექნოლოგიების** შეფასების ინსტრუმენტების დაგეგმვისას უზრუნველყოფილი იყოს არა მხოლოდ თემების ესგ-სთან შესაბამისობა, არამედ მათი მკაფიო ასახვა კონკრეტული კლასის კურიკულუმში.<br>იმ შემთხვევაში, თუ თემა ესგ-სთან შესაბამისია, მაგრამ არ არის გათვალისწინებული კლასის კურიკულუმში, მიზანშეწონილია მისი გადახედვა, ასაკობრივ დონესთან ადაპტირება ან კურიკულუმში შესაბამისი კორექტირების შეტანა, რათა შეფასება სრულად |

| | | |
|---|---|---|
| | | შეესაბამებოდეს სწავლების შინაარსსა და მოსწავლეთა განვითარების საფეხურს. |
| ინდიკატორი N.2.2.1.5. | სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით | სასურველია, შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შენახვის სავალდებულოდ შესრულებისთვის, ჩანაწერი გაკეთდეს დოკუმენტურადაც, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის ან სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტში. |
| ინდიკატორი N.2.2.2.1. | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | სასურველია, **უცხოური ენების** კურიკულუმებში, რესურსებისთვის განკუთვნილ გრაფაში, მითითებული იყოს ყველა ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი.<br><br>სასურველია, რომ **მუსიკის** ყველა კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოების გვერდები და დამხმარე ინერნეტ-რესურსების მოქმედი ლინკები (აღნიშნული რესურსების ლინკები მოცემულია მხოლოდ კურიკულუმების ნაწილში).<br><br>სასურველია, საგან **ტექნოლოგიებისთვის** სკოლამ სრულად დააკონკრეტოს დამხმარე რესურსები კურიკულუმში — მიუთითოს კლასი. მაგალითად, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ავტ. ჯამასპიშვილი, კლასი 5; და სხვა.<br><br>სასურველია, **დაწყებითი I-IV კლასების ბუნებისმეტყველების** კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითებული იყოს ყველა რესურსი, ასევე კონკრეტული ელ.რესურსების ბმულები. |
| ინდიკატორი N.2.2.2.2. | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას | სასურველია, საგან **ტექნოლოგიებისთვის**<br>● სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილ იქნას უფრო მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების გამოყენება; |

| | | |
|---|---|---|
| | | ● ძირითადი რესურსების პარალელურად ინტეგრირდეს დამატებითი ვიზუალური, ციფრული და პრაქტიკული მასალები;<br>● გაძლიერდეს ციფრული რესურსების (ინტერაქტიული პლატფორმები, სიმულაციები, ვიდეომასალა) გამოყენება;<br>ხელი შეეწყოს რესურსების შერჩევის გაფართოებას მოსწავლეთა საჭიროებებისა და განსხვავებული სწავლის სტილების გათვალისწინებით. |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.2.1.2.1. | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | სასურველია, **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** ყველა კლასის კურიკულუმს დანართის სახით ჰქონდეს თანდართული კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება შესაბამისი აქტივობებით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი.<br><br>სასურველია, **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნების პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, საბაზო საფეხურზე მოაწესრიგონ შემოქმედებითი დავალების იდეები (პირობა და კრიტერიუმები განათავსონ დავალების ბარათში და მატრიცებში). მესამე კლასის "მე და საზოგადობის" კურიკულუმში თემის ნაცვლად მიმართულება წერია, სასურველია შეიცვალოს (ტექნიკური შეცდომაა).<br>სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ სამივე საფეხურზე მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ტიპის დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. |

| | | |
|---|---|---|
| | | სამივე საფეხურზე კურიკულუმის შესაბამის გრაფაში აისახოს ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები: სახელმძღვანელოდან გვერდების მითითებით, ელექტრონული რესურსების ბმულები ჩასმულ იქნას საკითხების სახელწოდებების მითითებით.<br><br>სასურველია, **ესთეტიკური** აღზრდის ორივე საგნის კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე ნაჩვენები იყოს თემის/საკითხისთვის დათმობილი ჯამური საათების რაოდენობა. ასევე სასურველია, რომ მუსიკის ყველა კურიკულუმის რესურსების გრაფაში მოცემულ იქნას გრიფირებული სახელმძღვანელოს თემის/საკითხის შესაბამისი გვერდები და ჩაშენებულ იქნას საკითხთან რელევანტური დამატებითი რესურსების მოქმედი ლინკები.<br><br>**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კურიკულუმებში სასურველია, მითითებულ იქნას შემოქმედებითი დავალებების მხოლოდ ის რაოდენობა, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია მიმდინარე სასწავლო წლის ფარგლებში.<br><br>სასურველია, მომდევნო სასწავლო წლის **სახელმწიფო ენის** კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების გასააქტიურებლად, მეტი ყურადღება დაეთმოს:<br>ა) საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს;<br>ბ) ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავებას;<br>გ)პროექტულ სწავლებას.<br>მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა<br>(პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ შესაბამისი კონტექსტ მაგალითებით. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N.2.1.2.2.* | *კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს* | *სასურველია, **საზოგადოებრივი მეცნიერებებისთვის,** შესასწავლი თემის ფარგლებში დაკონკრეტეს ძირითადი საკითხი, კომპლექსური ტიპის დავალების იდეა. დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თითოეულ საკითხთან მიმართებით, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მყარი წარმოდგენების გაცნობიერებაში.*<br><br>*სასურველია, **უცხოური ენების** კურიკულუმებში დაკონკრეტდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/ებით დამუშავდება; კურიკულუმებში გაიწეროს შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს.*<br><br>*სასურველია, **სახელმწიფო ენის** კურიკულუმებში დაზუსტდეს საფეხურის შედეგები და თითოეული თემის ფარგლებში გრძელვადიანი მიზნების დასამუშავებლად განსაზღვრული საკითხი. საბაზო საფეხურზე სასწავლო თემების პარალელურად მიეთითოს თემატური ბლოკები.* |
| *ინდიკატორი N.2.1.2.3.* | *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* | *სასურველია, სკოლამ მოკლევადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს **საბუნებისმეტყველო** ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო სასკოლო სწავლო ქიმიური რეაქტივებითა და ინვენტარით, რადგან ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კვლევითი კომპონენტის გაძლიერება.*<br><br>*სასურველია, რომ **მუსიკის** ყველა კურიკულუმში იყოს ჩაშენებული დამხმარე რესურსების მოქმედი ლინკები.*<br><br>*სასურველია, **სახელმწიფო ენის** მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების და საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი* |

| | | |
|---|---|---|
| | | გაკეთდეს ელ.რესურსების (ანიმაციების, ფილმების, პოდკასტების) გამოყენებაზე.<br>კონტექსტური პარალელებისთვის, სასურველია, დამატებით უცხოური და ქართული ლიტერატურის შეთავაზება. რესურსის, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში. |
| ინდიკატორი N.2.1.2.4. | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | სასურველია, საგან **სახელმწიფო ენაში,** სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება;<br>მიზნობრივი სოციალური პროექტების განხორციელება. |
| ინდიკატორი N.2.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | სასურველია, **ესთეტიკის** კათედრამ ყველა საფეხურისთვის შეიმუშავოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული შეფასების კრიტერიუმები.<br><br>სასურველია, **სახელმწიფო ენის** კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება.<br><br>საურველია, **საგან მათემატიკის** თითოეული დავალებისთვის შექმნან და გამოიყენონ კონკრეტული თემის/საკითხის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევი ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | სასურველია, **სახელმწიფო ენის** შემაჯამებელ დავალებებს მიეთითოს სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება და კრიტერიუმით განსაზღვრული ქულები ჩაშლილი სახით დაკონკრეტდეს. |
| ინდიკატორი N.2.2.1.5. | სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით | სასურველია, შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შენახვის სავალდებულოდ შესრულებისთვის, ჩანაწერი გაკეთდეს დოკუმენტურადაც, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის ან სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტში. |
| ინდიკატორი N.2.2.2.1. | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | სასურველია, **უცხოური ენების** კურიკულუმებში, რესურსებისთვის განკუთვნილ გრაფაში, მითითებული იყოს ყველა ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი.<br><br>სასურველია, რომ **მუსიკის** ყველა კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოების გვერდები და დამხმარე ინერნეტ-რესურსების მოქმედი ლინკები (აღნიშნული რესურსების ლინკები მოცემულია მხოლოდ კურიკულუმების ნაწილში). |

| **სტანდარტი N2** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | **რჩევა** |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.2.1.2.1. | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | სასურველია, **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** ყველა კლასის კურიკულუმს დანართის სახით ჰქონდეს თანდართული კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება შესაბამისი აქტივობებით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი. |

| | | |
|---|---|---|
| | | *სასურველია,* ***საზოგადოებრივი მეცნიერებების*** *საგნების პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, საშუალო საფეხურზე, მე-12 კლასის ჩათვლით, მოაწესრიგონ შემოქმედებითი დავალების იდეები (პირობა და კრიტერიუმები განათავსონ დავალების ბარათში და მატრიცებში).*<br>*სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ სამივე საფეხურზე მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ტიპის დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.*<br>*კურიკულუმის შესაბამის გრაფაში აისახოს ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები: სახელმძღვანელოდან გვერდების მითითებით, ელექტრონული რესურსების ბმულები ჩასმულ იქნას საკითხების სახელწოდებების მითითებით.*<br><br>*სასურველია, მომდევნო სასწავლო წლის* ***სახელმწიფო ენის*** *კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების გასააქტიურებლად, მეტი ყურადღება დაეთმოს:*<br>*ა) საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს;*<br>*ბ) ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავებას;*<br>*გ)პროექტულ სწავლებას.* |
| *ინდიკატორი N.2.1.2.2.* | *კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს* | *სასურველია,* ***საზოგადოებრივი მეცნიერებებისთვის,*** *შესასწავლი თემის ფარგლებში დაკონკრეტეს ძირითადი საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა. დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თითოეულ საკითხთან მიმართებით, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში.* |

| | | |
|---|---|---|
| | | *სასურველია, **უცხოური ენების** კურიკულუმებში დაკონკრეტდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/ებით დამუშავდება; კურიკულუმებში გაიწეროს შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს.*<br><br>*სასურველია, **სახელმწიფო ენის** კურიკულუმებში დაზუსტდეს საფეხურის შედეგები და თითოეული თემის ფარგლებში გრძელვადიანი მიზნების დასამუშავებლად განსაზღვრული საკითხი. საბაზო საფეხურზე სასწავლო თემების პარალელურად მიეთითოს თემატური ბლოკები.* |
| *ინდიკატორი N.2.1.2.3.* | *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* | *სასურველია, სკოლამ მოკლევადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს **საბუნებისმეტყველო** ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო სასკოლო სასწავლო ქიმიური რეაქტივებითა და ინვენტარით, რადგან ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კვლევითი კომპონენტის გაძლიერება.*<br><br>*სასურველია, **სახელმწიფო ენის** მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების და საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ.რესურსების (ანიმაციების, ფილმების, პოდკასტების) გამოყენებაზე.*<br>*კონტექსტური პარალელებისთვის, სასურველია, დამატებით უცხოური და ქართული ლიტერატურის შეთავაზება. რესურსის, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N.2.1.2.4.* | *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს* | *სასურველია, საგან **სახელმწიფო ენაში,** სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება;*<br>*მიზნობრივი სოციალური პროექტების განხორციელება.* |
| *ინდიკატორი N.2.1.2.5.* | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | *სასურველია, **ესთეტიკის** კათედრამ ყველა საფეხურისთვის შეიმუშავოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული შეფასების კრიტერიუმები.*<br><br>*სასურველია, **სახელმწიფო ენის** კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება.*<br><br>*საურველია, **საგან მათემატიკის** თითოეული დავალებისთვის შექმნან და გამოიყენონ კონკრეტული თემის/საკითხის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევ ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.* |
| *ინდიკატორი N.2.2.1.3.* | *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი* | *სასურველია, **სახელმწიფო ენის** შემაჯამებელ დავალებებს მიეთითოს სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება და კრიტერიუმით განსაზღვრული ქულები ჩაშლილი სახით დაკონკრეტდეს.* |
| *ინდიკატორი N.2.2.1.5.* | *სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით* | *სასურველია, შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შენახვის სავალდებულოდ შესრულებისთვის, ჩანაწერი გაკეთდეს დოკუმენტურადაც, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის ან სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტში.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N.2.2.2.1.* | *კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში* | *სასურველია, **უცხოური ენების** კურიკულუმებში, რესურსებისთვის განკუთვნილ გრაფაში, მითითებული იყოს ყველა ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი.* |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

დაწესებულებამ, არგუმენტირებული პოზიციასთან (კორესპოდენცია MES 3 26 0000669405, 04/06/2026) ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, რისკები, რესურსები და ჩართული მხარეები.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში. შედეგად, ინდიკატორები: 1.1.1.3; 3.1.2.4; 3.2.1.1; 3.3.1.1; 3.4.1.1; 3.4.1.2. და 3.6.3.5. გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. ასევე, მეტწილ შესაბამისად შეფასდა მეორე სტანდარტის დაწყებითი საფეხური.
ცალკეულ ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულების მტკიცებულებები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინდიკატორები: *1.2.1.1; 3.1.2.3. და 3.6.2.1.* გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლა მიზნად ისახავს წიგნიერი, კრიტიკულად მოაზროვნე, თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც იზიარებს საკუთარ პასუხისმგებლობას ქვეყნის სახელმწიფოებრივი ტრადიციების მიმართ და პასუხობს სწრაფად ცვალებად გლობალურ მოთხოვნებს. ხოლო ხედვით, აპირებს, ყველა მოსწავლისთვის, უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების მიღებისათვის შესაბამისი გარემო.

**ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

**2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა თავისი მისიითა და ხედვით განიზრახავს ინკლუზიური, თანამშრომლობითი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას, სადაც ყველა მოსწავლე განურჩევლად მათი შესაძლებლობებისა, სოციალური სტატუსისა, კულტურული და ენობრივი თავისებურებებისა თანაბრად იქნება ჩართულად სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება #37, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის შემუსავების-კორექტირების მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის შესახებ, თუმცა მასში არ არის განსაზღვრული ჯგუფის საქმიანობა და ვადა. აღნიშნული ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაოს ამსახველი

მტკიცებულება სკოლას არ წარმოუდგენია. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ვერც სხვა რაიმე მტკიცებულება, რაც სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას დაადასტურებდა.
**ხარვეზი:** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ არის შემუშავებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

*დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის მიერ შესასრულებელ სამუშაოს და ვადებს და სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების მტკიცებულებების შეგროვებას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში, 2026 წლის სექტემბრისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და* ***ინდიკატორი 1.1.1.3. გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.***

*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განხორციელება. კერძოდ: სამუშაო ჯგუფის შექმნა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების და სტარტეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად და ამ ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოების დადასტურების მტკიცებულებების შეგროვება.*

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**
დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის 2026 წლის 12 იანვრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი #2 და 2026 წლის 26 იანვრის სამეურვეო საბჭოს ოქმი #4, სადაც განხილულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებში ცვლილებების შეტანის განხილვის საკითხი. სხდომების ოქმებიდან დგინდება, რომ სკოლის დირექტორმა დამსწრეთ წარუდგინა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების განახლებული ვერსია. ვინაიდან პედაგოგიური საბჭოს აღნიშნულ სხდომას ესწრებოდა სკოლის ყველა მასწავლებელი, ხოლო სამეურვეო საბჭო წარმომადგენლობითი ორგანოა, სადაც მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე ესწრება სხდომას, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
**ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. განთავსებულია სკოლის ფოიეში და ვებ გვერდზე.

**ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია**

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება "სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა" სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა). ვინაიდან, ამონაწერში საჯარო რეესტრიდსან ფიქსირდება "მცხეთის რაიონის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა", სკოლას მიეცა **რჩევა**, განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სკოლის ამჟამინდელი სრული სახელწოდების შესაბამისად.

**ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება #37, მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის შესახებ, 24/12/2025;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი #2. 12/01/2026;*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #4. 26/01/2026;*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *სკოლის ვებ გვერდი www.skolebi.emis.ge;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

#### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა სტარტეგიული განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ და შესაბამისად, ვერ იქნა აღიარებული, როგორც სკოლის დოკუმენტი, რომელიც იქნება სწორედ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების გარანტი.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა 2026 წლის 28 მაისის სკოლის დირექტორის N73 ბრძანება სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების და სტარტეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. ექპერტთა ჯგუფმა გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია, წარმოდგენილი დოკუმენტი კი მიიჩნია რელევანტურად.*

**ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (2025-2032), რომელიც არის ციკლური, გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და თანხვედრაშია სკოლის ხედვასთან. სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია მისიასთან თავსებადი შვიდი მიზანი და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები. აღნიშნული სტრატეგიული გეგმის შემუშავებას წინ უძღოდა მშობელთა გამოკითხვა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის მიზნით; სამურვეო და პედაგოგიური საბჭოს შეხვედრები, სადაც მოხდა სტრატეგიული გეგმის განხილვა, რომლის საფუძველზეც იგი დამტკიცდა სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით.

**ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

დაწესებულებამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026), რომელიც ეფუძნება წარმოდგენილ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. ვინაიდან, წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა გათვლილია 2025-2032 წლებისთვის, ბუნებრივია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და არა წინა წლის თვითშეფასებიდან.

**რჩევა:** სასურველია, მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება / დამტკიცებამდე, უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცდეს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია და აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი ეტაპები იქნას გაითვალისწინებული 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცებისას.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა 2026 წლის 28 მაისის სკოლის დირექტორის N73 ბრძანება სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების და სტარტეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. აქედან გამომდინარე სკოლის რჩევის ფორმულირება შეიცვალა შემდეგნაირად:* ***სასურველია, სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი ეტაპები იქნას გაითვალისწინებული 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცებისას.***

**ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის ერთწლიან (2025-2026) სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები.

**რჩევა:** სასურველია, მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში დააზუსტოს რესურსების ნაწილი. კერძოდ, დააკონკრეტოს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.

**ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *მშობელთა გამოკითხვა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის მიზნით;*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი #2. 12.01.2026წ;*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი #4. 26.01.2026წ;*
- *სტრატეგიული გეგმა (2025-2032);*
- *ბრძანება სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ #55. 13.02.2026წ;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026);*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N73. 28/05/2026წ.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

დაწესებულების მიერ წარმოადგენილია სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია მონიტორინგის და შეფასების ორი ალტერნატიული გზა.

**ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, ექიმი, ფსიქოლოგი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში და 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტენტი. აღნიშნული პირების ფუნქციები, გარდა ბიბლიოთეკარისა, გაწერილია ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. ვიზიტის ეტაპისთვის სკოლას არ ჰყავდა დასაქმებული ბიბლიოთეკარი. აღნიშნული პოზიციისთვის ფუქციები გაწერილია სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესში (მუხლი 10).

მასწავლებლის ხელშეკრულებები გაფორმებულია შესაბამისი სტატუსის შესაბამისად და სრულად ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინსტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნებს.
სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა სკოლის სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და 7 საგნობრივი კათედრა. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოვალეობებით. მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნირების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად. კათედრები ფუნქციონირებენ კათედრების დებულების შესაბამისად. მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით.
**რჩევა:** სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოფს, იერარქიული სტრუქტურის შესაბამისი ისეთი ჩარჩო დოკუმენეტის შექმნა, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალის ფუნქციები, მოვალეობები, ამოცანები და მათი საქმიანობის როლი დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომი გახადოს დაინტერესებულ პირთათვის ხელშეკრულების გაფომებამდე.
**ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

ვიზიტის ეტაპისთვის დაწესებულებას ვაკანტური ჰქონდა ბიბლიოთეკარის პოზიცია, რაც ხელისშემშლელი გარემოება იყო საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის. ვიზიტის დღეს სკოლის დირექტორმა ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით აღნიშნული პოზიციის შესრულება, ვაკანტური ადგილის შევსებამდე დაავალა სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს. აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით, სკოლის სკოლის საშტატო განრიგით, სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული პერსონალისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზით და სასკოლო სასწავლო გეგმის შეჯერებით დგინდება, რომ სკოლის სრუქტურული ერთეულების/ პირებს შორის ფუნქციები და ვალდებულებების განაწილება უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატიორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის სტრუქტურა;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება #71. 01.05.2026წ;*
- *სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბრძ.#72. 01.05.2026წ.*

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში, პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია, დაწესებულების მიერ წარმოადგენილი შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს დასაქმებულის დანიშვნის, სამუშაო დროის აღრიცხვის, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების, ანაზღაურებისა და შვებულების გაცემის, შრომის პირობების დაცვის წესებს, წახალისების სახეებსა და ფორმებს.

**ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

**2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულია დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის ძირითადი პირობები, რაც დასაქმებულთა მართვას და მათი შრომითი უფლებების დაცვას უწყობს ხელს. დასაქმებულის დროებითი არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა თანამშრომელზე. ვიზიტის დღეს, სკოლის დირექტორმა ბრძანებით განსაზღვრა სკოლის ბიბლიოთეკარის ვაკანტური ადგილის შევსებამდე, სკოლის ბიბლიოთეკის სერვისების მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი. მასწავლებლის არყოფნისას საათები ნაწილდება იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე. დირექცია დასაქმებულებს მუდმივად აწვდის ინფორმაციას პროფესიული განვითარების მიზნით

დაგეგმილი ტრენინგების შესახებ და უზრუნველყოფს მათ ჩართულობას. აღნიშნული მიდგომა, ასევე უზრუნველყოფს ინტერვენციულ მართვის პოლიტიკას.

**რჩევა**: სასურველია, მიმდინარე პროცესების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებამ, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტებში, გაწეროს და შესაბამისად შრომით ხელშეკრულებებშიც გაითვალისწინოს პოზიციის შესაბამისი ფუნქციების დროებითი გადანაწილება.

**ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად; სკოლის ექიმის გარდა, სხვა პერსონალს დირექტორი არჩევს გასაუბრებით, დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. თანამშრომელთა პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციის დაადასტურებელი დოკუმენტაცია და ცნობები "ნასამართლეობის" არ ქონის შესახებ. 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულ რამდენიმე თანამშრომელთან კი, წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ცნობებიც.

**ხარვეზი:** 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულ სკოლის 1 ინგლისური ენის, 1 ისტორია/მოქალაქეობის და 1 დაწყებითი კლასების პედაგოგის პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი ცნობები „უფლების ჩამორთმევის" შესახებ; ხოლო, მუსიკის მასწავლებლისა და ორი დამლაგებლის პირადი საქმეში არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის" და „უფლების ჩამორთმევის" შესახებ.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა იდენტიფიცირებული თანამშრომლების ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის" და „უფლების ჩამორთმევის" შესახებ. ექპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია რელევანტურად.*

**ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დირექცია, ადმინისტრაცია, ტექ-პერსონალის სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულია 10 პირი. 2 უფროსი სპეციალური მასწავლებელი და 30 საგნის მასწავლებელი. მათგან 1 მენტორი და 5 წამყვანის სტატუსის, ხოლო დანარჩენი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონეა. სკოლის სამედიცინო კაბინეტს ემსახურება ექიმი, კვალიფიკაციით "სამკურნალო საქმე" და მას არ აქვს წარმოდგენილი სახელმწიფო სერტიფიკატი.

**ხარვეზი:** სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

*დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, კვალიფიციური ექიმის დასაქმების მიზნით ვაკანსიის გამოცხადებას და კონკურსის შედეგების საფუძველზე კვალიფიციურ სამედიცინო პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში, 2026 წლის სექტემბრისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და **ინდიკატორი 3.1.2.4. გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.***

*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესში" 2026 წლის 20 აპრილს ერთობლივი №58/ნ/№14/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით.*

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ვიზიტის პერიოდში დაკვირვებით, გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება სკოლაში შექმნილი თანამშრომლობითი გარემო. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, რომლებიც იკრიბებიან პერიოდულად. წარმოდგენილ

ოქმებში ჩანს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებულია ყველას მოსაზრება. სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილება მიიღება ერთობლივად, ერთსულოვნად.

**ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია**

**6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შენაგანაწესით დადგენილია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, სადაც ნათლად ჩანს პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარების ფაქტები.

**ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის სტრუქტურა;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ბრძ.#58. 26.02.26წ;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში (2025) დანართის სახით. მასწავლებელთა პროფესიულ საჭიროებას სკოლა გამოკვეთს კათედრებზე, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგად.

დაწესებულებამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტის მიღების/დამტკიცების სამეურვეო საბჭოს ოქმი ან ბრძანება. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 19. მოიცავს აქტივობებს პერსონალის შეფასებასთან დაკავშირებით, თუმცა არასრულყოფილად, არ არის დაზუსტებული შეფასების მეთოდი და ეტაპები.

**ხარვეზი:** სკოლას არ აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ ან რაიმე სხვა სრულყოფილი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის/სტრუქტურული ერთეულის მიერ და რომელიც მოიცავს სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის მექანიზმებს, შერჩეულ შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს.

*დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა შეიმუშავებს "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას“ და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, 1 წლამდე პერიოდში, 2026 წლის სექტემბრისთვის. ექპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და* ***ინდიკატორი 3.2.1.1. გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.***

*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ისეთი დოკუმენტის შექმნა და დამტკიცება, რომელიც მოიცავს სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის მექანიზმებს, შერჩეულ შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს.*

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებში ჩატარებული გამოკითხვის ანგარიში თუ რა სირთულეების წინაშე არიან სკოლის მასწავლებლები, აღნიშნული დოკუმენტის ბოლოს მოცემულია ის რეკომენდაციები, რაც გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა. გასაუბრებისას, აღნიშნული კვლევის წარმოებაზე პასუხისმგებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ პერსონალის განვითარების გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იქნება აღნიშნული კვლევის შედეგები. მასწავლებლები თავადაც მოიპოვებენ ინფორმაციას და ესწრებიან სხვადასხვა სახის ონლაინ ტრენინგებს. მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს.

**ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, მათ მიერ მოყვანილი მაგალითები ადასტურებს, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლის არსებული პრაქტიკაც იმავეს ასახავს. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას ჰყავდა 1 მენტორი და 5 წამყვანი მასწავლებელი.

**ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას და თანამშრომელთა სწრაფ ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. მტკიცებულებად, ასევე, შეიძლება მოვიყვანოთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი კათედრის სხდომის ოქმი, სადაც კათედრის წევრები განიხილავენ ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმს. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფისთვის შესამჩნევი იყო თანამშრომელთა ერთიანობა, ურთიერთმხარდაჭერა და კეთილგანწყობა.

**ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესის თანახმად, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება, თანამშრომელთა მოტივირება, გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას.

**რჩევა:** სასურველია, სკოლამ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, წახალისების ფორმები და სხვა, არსებული ბიუჯეტისა და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით.

**ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *შინაგანაწესი;*
- *კათედრის ოქმი. 11.09.2025წ;*
- *მასწავლებლის საჭიროების კვლევა;*
- *ადამიანური რესურსების განვითარება;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (2025);*
- *სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების მექანიზმები;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (2025), რომელიც ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ბევრ დასაზუსტებელ პუნქტს, მათ შორის: სკოლის ხარისხის მართვას კონკრეტული პირი წარმართავს თუ სამსახური; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი რა პერიოდში შემოწმდება; რა ვადაში უნდა გაიწეროს და დამტკიცდეს პროცესების დოკუმენტები და სხვა. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა, 2026 წლის 21 იანვრის, სკოლის დირექტორის #43 ბრძანება, რომლის თანახმად სკოლაში შექმნილის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც საფუძვლად უდევს ძალადაკარგული აქტი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 ივნისის #241 დადგენილება.
**ხარვეზი:** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი არ არის სრულყოფილი, მოიცავს დასაზუსტებელ პუნქტებს. 2026 წლის 21 იანვრის, სკოლის დირექტორის #43 ბრძანებას, რომლის თანახმად სკოლაში შექმნილის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, საფუძვლად უდევს ძალადაკარგული აქტი-მთავრობის დადგენილება.

*დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლის მიერ შემუშავდება და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. ასევე, ჩასწორდება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში" მითითებული ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტი. ექპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და* ***ინდიკატორი 3.3.1.1. გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.***

*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს სრულყოფილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება, რომელშიც დაზუსტდება ცალკეული პუნქტები. მათ შორის: სკოლის ხარისხის მართვას კონკრეტული პირი წარმართავს თუ სამსახური; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი რა პერიოდში შემოწმდება; რა ვადაში გაიწერება და დამტკიცდება პროცესების დოკუმენტები და სხვა. ასევე, განახორციელოს ცვლილება 2026 წლის 21 იანვრის, სკოლის დირექტორის N43 ბრძანებაში, ან ძალადაკარგულად*

*გამოცხადოს იგი და მის ნაცვლად იმოქმედოს "მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის N641 დადგენილების შესაბამისად.*

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლის მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა.
სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;
სკოლის დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; და სხვა.
**ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის #57 ბრძანებით დამტკიცებული „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი". აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლაში განცხადებებისა და საჩივრის წარდგენის წესსა და ვადებს. დისციპლინური წარმოების წესს, კონკურსის შედეგების გასაჩივრებას და სხვა.
**ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.
**ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *შინაგანაწესი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (2025)*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება #43. 21.01.26წ;*
- *სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. ბრძ.#57. 26.02.26წ;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა ინფორმაციის მიწოდებისთვის იყენებს სოციალურ ქსელს, დახურულ ჯგუფებს, სატელეფონო კომუნიკაციას. სკოლის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის განხილვა ხდება სამეურვეო საბჭოს, პედაგიური საბჭოს სხდომებზე და მშობელთა კრებებზე. ინფორმაცია სასკოლო სიახლეებისა შესახებ თავსდება სკოლაში, საინფორმაციო დაფაზე.

**ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა სუბიექტის - მშობელი, მოსწავლე, მასწავლებლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

**ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის სტრუქტურა;*
- *სტრუქტურული ერთეულების სხდომების ოქმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა განთავსებულია 1 ორსართულიან, ახლად რეაბილიტირებულ შენობაში. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 2 ცალკე მდგომი შენობა, ერთი საქვებე და ერთი საკონფერენციო დარბაზი. სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლას ემსახურება 2 მანდატური. სკოლას აქვს შინაგანაწესი.
ვიზიტის დღეს, 2026 წლის 1 ივნისს დაწესებულებამ მოამზადა და წარმოადგინა **მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ.**

ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონდა **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.** სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების საკითხებზე სპეციალისტის მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად აღნიშნული საკითხის მოგვარებას გეგმავს 2026 წლის 31 აგვისტომდე, 1 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და ინდიკატორი შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 31 აგვისტომდე, უზრუნველყოს სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან.*

**რჩევა:** სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების  სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
სკოლა რეაბილიტირებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ და დაწესებულებას შენობა გადაეცა მიღება-ჩაბარების აქტით 2026 წლის იანვარში. სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 22 დეკემბერს შპს „ექსპერტის“ მიერ გაცემული დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე. დოკუმენტის თანახმად სკოლის შენობა ნაგებობა აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს და უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის. თუმცა, შპს „ექსპერტის“ მიერ წარმოდგენილია 2004 წელს უვადოდ გაცემული სახელმწიფო ლიცენზია ნომრით 3763. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შესაბამისობის შემფასებელ ორგანოზე აკრედიტაცია გაიცემა 4 წლის ვადით. ამჟამად, ორგანიზაციის მოქმედი აკრედიტაცია ვერ დგინდება. სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო- აკრედიტაციის ცენტრის" ვებ გვერდზე" მოქმედი სტატუსის მქონე აკრედიტირებულ ორგანიზაციათა რეესტრში" და ასევე, "შეჩერებული და გაუქმებული სტატუსის მქონე აკრედიტირებულ ორგანიზაციათა რეესტრში' არ იძებნება ინფორმაცია შპს "ექსპერტი"ს შესახებ. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტი არ გაიზიარა.
**ხარვეზი: სკოლას არ აქვს აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა** (ვერ დგინდება დასკვნის გამცემი ორგანიზაციის უფლებამოსილება).

*დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში, 2027 წლის მარტისთვის. ექპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და* ***ინდიკატორი 3.4.1.1. გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.***

*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - მარტი, 2027) უზრუნველყოს* ***უფლებამოსილი/აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა წარმოდგენა.***

**2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

ექიმის კაბინეტი აღჭურვილია საჭირო სამედიცინო ინვენტარით. დაწესებულება ახორციელებს საჭირო მედიკამენტების შესყიდვას. სკოლაში დასაქმებულია ექიმი, კვალიფიკაციით "სამკურნალო საქმე" და მას არ აქვს დამოუკიდებლად საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.

**ხარვეზი:** სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესთან''.

*დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, კვალიფიციური ექიმის დასაქმების მიზნით ვაკანსიის გამოცხადებას და კონკურსის შედეგების საფუძველზე კვალიფიციურ სამედიცინო პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში, 2026 წლის სექტემბრისთვის. ექპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და* ***ინდიკატორი 3.4.1.2. გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.***

*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი)*

*ფუნქციონირების წესში" 2026 წლის 20 აპრილს ერთობლივი №58/ნ/№14/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით.*

**3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფენ მანდატურები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დღის დარაჯი. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112"-ის ცხელი ხაზის ნომერი. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ.

**ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. წარმოდგენილია მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები. სკოლას ემსახურება ფსიქოლოგი. მშობლებმა და მოსწავლეებმა, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. პრაქტიკულად არ ფიქსირდება სკოლიდან გადასვლის ფაქტები. სკოლა გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ფოკუსირებულია ემოციური, სოციალური უნარების განვითარებაზე, მხარდაჭერილია განსხვავებულობა ნებისმიერი ნიშნით.

**ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია**

**5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია 3-3 სველი წერტილი მოსწავლეებისთვის, დამატებით 1-1 სველი წერტილი პერსონალისთვის. ხელსაბანების რაოდენობა აღემატება სველი წერტილების რაოდენობას. შენობის ორივე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავებას ყოველდღიურად. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები. სკოლის შენობის ორივე სართულზე განთავსებულია სათანადო ჰიგიენის საშუალებებით აღჭურვილი, განიავებადი სათავსო ოთახები. სკოლას მიეწოდება სასმელად ვარგისი წყალი.

**ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია**

**6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

ქალაქ მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის მიერ სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლისთვის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც რეგისტრირებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე და უზრუნველყოფს აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად პროცესების წარმართვას. სკოლა, მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის გაზიარებისთვის, თანხმობას იღებს მოსწავლეებისა და მშობლებისგან.

**ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია**

**7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება #62, სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად საინფორმაციო მენეჯერის განსაზღვრის თაობაზე. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება კარადაში, რომელიც იკეტება. დაწესებულება, ასევე იცავს ელექტრონულ ინფორმაციას არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

**ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

გასაუბრების დროს სასკოლო საზოგადოებამ (მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები) დაადასტურეს სკოლაში არსებული უსაფრთხო გარემოს არსებობა. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია განიხილოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. წარმოდგენილია სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომლითაც დასტურდება საპრევენციო ღონისძიების, სკოლის ტერიტორიაზე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟების, გატარების საკითხი.

**ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დასკვნა შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციის თაობაზე 22.12.2025;*
- *მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. 01.05.2026;*
- *საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების საკითხებზე სპეციალისტის მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება;*
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*
- *ქალაქ მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ბრძანება #20/პშ სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის განსაზღვრის შესახებ. 24.03.2025;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება #62 26.02.2026;*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმი #2. 29.01.2026;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა, საკადასტრო კოდი 72.10.01.135. განთავსებულია 5500.00 კვ.მ. ფართობზე. აღნიშნული ფართი და მასზე განთავსებული სასწავლო შენობა, სააქტო დარბაზი და საქვაბე სკოლას

სარგებლობაში გადაცემული აქვს, როგორც უზურფრუქტუარს. სკოლის სახელწადობაც მითითებულია, როგორც "მცხეთის რაიონის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა". ამავე ამონაწერში საჯარო რეესტრიდან, მითითებული შეობა -ნაგებობების ფართი არ ემთხვევა სკოლის ფაქტობრივ მდგომარეობას. რეაბილიტაციის შემდეგ შეიცვალა სკოლის შენობის საკადასტრო აზომვითი ნახაზი. აქედან გამომდინარე, სკოლას მიეცა **რჩევა:** სასურველია, ცვლილებები განხორციელდეს საჯარო რეესტრში არსებულ რეგისტრირებულ მონაცემებში სკოლის შენობა-ნაგებობების, სახელწოდების და სარგებლობის ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ორ ცვლაში. სკოლის შენობის პირველ სართულზე მდებარეობს სველი წერტილები, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუეტრული ლაბორატორია, მანდატურის ოთახი, სამასწავლებლო, რესურს ოთახი, ოთახი ბუფეტისთვის და ოთხი საკლასო ოთახი. მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, საქმისწარმოების ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ხელოვნების კაბინეტი და 8 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა და სხვა საჭირო ინვენტარი. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი გარე სპორტული მოედანი და შესაბამისი სპორტული ინვენტარი. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, სკოლის ბაზაზევე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები. გარდა, ბიბლიოთეკისა, რესურსოთახისა, კომპიუტერული თუ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისა, სააქტო დარბაზისა და სპორტული მოედნისა, კეთილმოწყობილი სკოლის ეზოც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს მოსწავლეთათვის სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის დერეფნები მიზნობრივადაა მოხატული და გაფორმებული სკოლის შემოქმედი მასწავლებლის მიერ.

**ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებელია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილია. იგი მდებარეობს შენობის პირველ სართულზე. ბიბლიოთეკაში აღრიცხულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. დამოწმებული აქვს

ბიბლიოთეკის ბეჭდით 1-ელსა და მე-17 გვერდებზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში მითითებული იყო, რომ სკოლა სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით „Open Biblio" და ბიბლიოთეკაში განთავსებულია სმარტ დაფა, რაც ვიზიტის პერიოდისთვის არ შეესაბამებოდა რეალობას. ვიზიტის დღეს, წარმოდგენილ წესში სკოლამ შეიტანა ცვლილება (ბრძანება #72) და წარმოადგინა წესი, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის მიერ საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებასთან.

**ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებელია**

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. კერძოდ, სასკოლო გარემო ადაპტირებულია ყველა უნარისა და შესაძლებლობის მოსწავლისათვის, რაც გამოიხატება იმით, რომ უკლებლივ ყველა სივრცე ხელმისაწვდომია ყველა ტიპის მოსწავლისთვის. სკოლაში არის რესურს ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი სკოლის შენობის ორივე სართულზე, პანდუსი და ლიფტი მუშა მდგომარეობაში. ყველა სართულზე განთავსებულია ვიზუალური მანიშნებლები.

**ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებელია**

**5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მის ჩამოყალიბებას აქტიურ სოციო-კულტურულ სივრცედ. სააქტო დარბაზი, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვისაც, რაც სრულად ხელმისაწვდომია სასკოლო თემისათვის. უზრუნველყოფილია კომუნიკაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა.

**ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებელია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *აზომვითი ნახაზი (30/10/2025);*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბრძ.#72. (01/05/2026).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.6. საინფორმაციო რესურსები

### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დაწესებულების სივრცეები (დირექტორის კაბინეტი, საქმისწარმოების ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, კომპიუტერული კლასი) უზრუნველყოფილია პერსონალური თუ პორტატული კომპიუტერებით. დაწესებულებას გააჩნია რამდენიმე პრინტერი და პროექტორი. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 19 კომპიუტერი.

**ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, გამოკრულია კომპიუტერულ კლასში.

**ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;*
- *მიღება-ჩაბარების აქტები;*
- *ინვენტარიზაციის ოქმი.*

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის საქმისწარმოების წესი. სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებული ბრძანებების დანომვრა არ შეესაბამება სკოლის არსებულ რეალობას, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა - eflow არ არის გათვალისწინებული, მუხლი 19 - თანამშრომლის პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალში არ არის მითითებული კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ" და "უფლების ჩამორთმევის შესახებ". მუხლი 22-ში მითითებული რეგისტრაციის ნომრები არ ემთხვევა რეალობას და სხვა.
**ხარვეზი:** სკოლის საქმისწარმოების წესი არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ და არ არის სკოლის რეალური დოკუმენტბრუნვის ამსახველი.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა სკოლის საქმისწარმოების წესი, რომელშიც განხორციელდა ცვლილებები და დამტკიცდა სკოლის დირექტორის 28 მაისის N74 ბრძანებით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტი და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი წესი, მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის რეალური დოკუმენტბრუნვის ამსახველია.*
**ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია**

**2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა). მშობლებთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ვებ გვერდს და გვერდს სოციალურ ქსელში.

**ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებელია**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი, სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ინფორმაციას.

**ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებელია**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა, კანონმდებლობის შესაბამისად, თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.

**ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებელია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის საქმისწარმოების წესი;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N74. 28/05/2026წ.*

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge, სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ. სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც აქვს თავისი გვერდი და დაინტერესებულ პირს აქვს კომენტარის / წერილის დაწერის საშუალება. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა.

**ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ გვერდის, სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

**ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მშობლებს შეუძლიათ მასწავლებელთან შეხვედრა და გასაუბრება. პრობლემის არსებობის შემთხვევაში, შეუძლიათ, ასევე, დაუკავშირდნენ სკოლის დირექტორს. უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაცია, სკოლის შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ერთ - ერთი ასეთი მაგალითი იყო, მშობელთა ინიციატივა სასკოლო ფორმების შემოღების თაობაზე.

**ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე.

**ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge . პორტალზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და საკონტაქტო ინფორმაცია. ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია სტრატეგიული (2025-2032) და შესაბამისად სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ/ვერ იქნება განთავსებული სკოლის ვებ გვერდზე.

**ხარვეზი:** სკოლის ვებ გვერდზე არ არის განთავსებული პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ინფორმაცია ფინანსური მდგრადობის შესახებ, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლის ვებ გვერდზე სტანდრტით გათვალიწინებული ინფორმაციის განთავსებას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში, 2026 წლის სექტემბრისთვის. ექპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და* ***ინდიკატორი 3.6.3.5. გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.***

*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს სკოლის ვებ გვერდზე ინდიკატორით მოთხოვნილი შემდეგი ინფორმაციის განთავსება: პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); ინფორმაცია ფინანსური მდგრადობის შესახებ; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და გასაჩივრების მექანიზმები.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ვებ გვერდი www.skolebi.emis.ge;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

#### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას დამატებით ურიცხავს ექიმის თანამდებობრივ სარგოს, სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ თანხას და მასწავლებლის სტატუსის შესაბამის დანამატს.

**ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია**

**2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი. შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად

არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური რესურსი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა.

**ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის ბიუჯეტი 2026;*
- *შესყიდვების გეგმა;*
- *სკოლის დირექტორის ანგარიში.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს, შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ ასევე შემუშავებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის დარღვეული უფლებების შესახებ საჩივრის წარდგენის წესს და განხილვის პროცედურას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლის შიდა რეგულაციებით მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია. სკოლის შიდა რეგულაციით, მოსწავლეებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრების იმ ასპექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ.

**ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი, განთავსებულია სკოლის დერეფნებში. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას შემოღებული ჰქონდა სასკოლო ფორმა ყველა კლასის მოსწავლისთვის. სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებისას, მათ დააფიქსირეს, რომ სასკოლო ფორმის შემოღება მოხდა მათი ინტერესების გათვალისწინებით და ისაუბრეს ფორმის შემოღების მხოლოდ დადებითი მხარეებზე. აღნიშნეს, რომ აღნიშნულმა ფაქტმა უზრუნველყო მათი თანასწორუფლებიანობა და მოახდინა ძალადობის პრევენცია. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს თანხმობის ოქმი.

**ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს კონონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები.

**ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;*
- *მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.*

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ, კანონმდებლობის გაცნობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებას თუ აღდგენას.

**ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა;
- მოსწავლეთა მობილობა;
- საფეხურის დაძლევა.

**ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.
**ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციულ**
მშობლებთან, მოსწავლეებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ კანონიერი წარმომადგენლებისთვის. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ცალკეული დოკუმენტები, რომლებიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას. სკოლას აქვს ინფორმაციის გაზიარების სხვადასხვა მექანიზმი: ვებ გვერდი, ფეისბუქ გვერდი, ელექტრონული ჟურნალი და სხვა.
**ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი;*
- *მოსწავლეთა პირადი საქმეები.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**
**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**
სკოლას აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი სათანადო მექანიზმები, კერძოდ სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გაადვილოს სასწავლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა.
**ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**
სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს, პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურებების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის და შემუშავებული მექანიზმების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან.
**ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

**3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**
სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლა ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

**ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, კერძოდ, მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები და სხვა.

**ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

**5 სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. ვიზიტის ეტაპზე სკოლაში არ ფუნქციონირებდა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესების შესაბამისი კლუბები, თუმცა სხვადასხვა აქტივობებითა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობით, სკოლა ცდილობს მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილებას. ვიზიტის დღეს სკოლას ჰყავდა სტუმარი კადეტთა კორპუსიდან. ასევე, 3 და 8 მარტს მოსწავლეთა ინიციატივით მოეწყო სასკოლო ღონისძიება და სხვა.

**ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებით დგინდება,რომ სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას.

**ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი;*
- *მოსწავლეთა გამოკითხვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები.*

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის კონსულტაციებს. სკოლას შემუშავებული აქვს კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი თბილისის სარკინიგზო კოლეჯთან.

**ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლაში არსებული სადამრიგებლო მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებს, მოსწავლეობის ასაკიდან ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის პროცესში, რომლის ძირითადი მიზანია შეიქმნას პირობები რათა მოსწავლემ შეძლოს სასურველი პროფესიის შერჩევა საკუთარი ინტერესების, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების, განვითარების პერსპექტივისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეებს, მშობლებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდება ჯეროვანი ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად აფასებს გაწეული მომსახურების შედეგებს, აწყობს შეხვედრებს მშობლებთან მოსაზრებების გასაზიარებლად, ეცნობა მათ მოსაზრებებს, წინადადებებს და ითვალისწინებს მათ სამუშაო პროცესში.

**ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *თანამშრომლობის მემორანდუმი.*

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში და სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შესახებ დოკუმენტში განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

**ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

დაწესებულების მიერ გაწერილი სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერას. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ. გეგმების შემუშავებას. სკოლას აქვს რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით. სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებლებთან ერთად ასევე ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში: ინტენსიურად თანამშრომლობენ რესურსების შერჩევისა და მომზადების მიზნით, განიხილავენ მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციას და ერთობლივად გეგმავენ შემდგომ სამუშაო სტრატეგიებს.

სპეციალური მასწავლებელი თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ესწრება საგაკვეთილო პროცესს, მასწავლებელთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე. გაკვეთილზე დასწრების მიზანი შესაძლებელია იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი, მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის შეფასება, ქცევაზე დაკვირვება.

**ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტირებით მომსახურეობას ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში. წარმოადგენილია ტრანსპორტირების ტაბელი.

**ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ვიზიტის პერიოდისთვის სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს: კლუბები და წრეები. კლუბებსა და წრეებში მოსწავლეები ინტერესისა და სურვილის მიხედვით რეგისტრირდებიან. ასევე, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტირებით მომსახურეობას ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული მომსახურეობის მისაღებად, მოსწავლეთა მშობლები თავად მიმართავენ დირექციას განცხადებით. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა და მომსახურების მიწოდება ეფუძნება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ობიექტურ კრიტერიუმებს.

**ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა, „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოფს სატრანსპორტო სერვისის უსაფრთხო და მოსწავლის ინტერესებზე ორიენტირებულ მიწოდებას. პროცესი მიმდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვით. სკოლა ახორციელებს ტრანსპორტირების პროცესის მუდმივ მონიტორინგს.

**ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი 2024 წელს, რომელშიც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციური როლები, პრიორიტეტები და ხედვები. კურიკულუმის დაგეგმვა და განვითარება ხორციელდება მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და ადმინისტრაციის ჩართულობით, რაც დოკუმენტურად არის განსაზღვრული და ეფუძნება წინა წლის კურიკულუმის ანალიზს, ასევე გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებას.
**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის კურიკულუმში თემებისა და საკითხების შერჩევა ეფუძნება როგორც საგნობრივ სტანდარტს, ისე სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო საზოგადოების რეალური ჩართულობა მხოლოდ ინფორმირებისა და კონსულტირებით კი არ შემოიფარგლება, არამედ ინტენსიური თანამშრომლობით - კურიკულუმის დაგეგმვა ხორციელდება კათედრების თანამშრომლობით და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით. ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ პედაგოგები კომპლექსურ დავალებებს არჩევენ მოსწავლეთა ასაკის, შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი განსაზღვრავს ერთიან ხედვას, სადაც პროცესში ჩართულია მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და ადმინისტრაცია. კათედრების სხდომებზე მუშავდება საგნობრივი თემები,

დავალებები, რესურსები და შეფასების მიმართულებები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებასა და ტრანსფერს. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ასახავს სასკოლო პრიორიტეტებს, რომლებიც ინტეგრირებულია საგნობრივ კურიკულუმებში.

**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ საგნობრივი კურიკულუმები კათედრების მიერ ერთობლივად არის შემუშავებული. კურიკულუმი ასახავს როგორც მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვას, ასევე შესაბამის აქტივობებსაც განსაზღვრავს. პროცესში ჩართულია ყველა მასწავლებელი, ხოლო სწავლების დაგეგმვა ეფუძნება როგორც საგნობრივ მოთხოვნებს, ისე მოსწავლეთა საჭიროებებს, რომელიც წინა სასწავლო წლის რევიზიითა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად დგინდება.მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ აქტუალურ საკითხებს მოსწავლეებთან და მშობლებთან, რაც ქმნის კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობის შესაძლებლობას.

წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესზე დაკვირვება და მიღებული შედეგების ანალიზი, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული აქტივობები და სასკოლო პროექტები.სკოლაში დანერგილია თანამშრომლობითი სამუშაო კულტურა, რაც უზრუნველყოფს მასწავლებელთა შორის გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარებას მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ხდება კურიკულუმის შინაარსის მუდმივი დახვეწა. სკოლა აღნიშნული მიმართულბით აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან.

**ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი სრულადაა გაზიარებული და გათავისებული სასკოლო საზოგადოების მიერ. მის შემუშავებასა და დახვეწაში აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ადმინისტრაცია, კათედრების თავმჯდომარეები და დირექტორის მოადგილე, ისევე როგორც კათედრის წევრი პედაგოგები. სკოლის ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის ერთიან და ეფექტურ განხორციელებას. სკოლა კურიკულუმების შესახებ ინფორმაციას უზიარებს მშობლებს და მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებს, რაც მტკიცდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმებითა და ვიზიტის დროს ინტერვიურებით.

**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;*
- *კათედრის ოქმები;*
- *მშობლებებთან ჩატარებული შეხვედრების ამსახველი დოკუმენტები ;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა ;*
- *საგნობრივი კურიკულუმები ;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები შემოქმედებითი ტიპის დავალებების მიხედვით.*

2.1.2. **კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები; სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა/სწავლების პროცესის დაგემვაზე; საგნორივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები იდეების სახით ასახულია სავალდებულო თემებში. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები,<br>**რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმს დანართის სახით ჰქონდეს თანდართული კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება შესაბამისი აქტივობებით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრის მიერ წარმოდგენილია სამივე საფეხურის კურიკულუმი საზოგადოებრივი მეცნიერების ყველა საგანში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა). კურიკულუმში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კათედრის წევრებმა გამოხატეს მზაობა კურიკულუმის განვითარებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართვას. დაზუსტებულია რესურსები.<br>**რჩევა:** სასურველია, პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, სამივე საფეხურზე (მე - 3 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით) მოაწესრიგონ შემოქმედებითი დავალების იდეები (პირობა და კრიტერიუმები განათავსონ დავალების ბარათში და მატრიცებში). მესამე კლასის "მე და საზოგადობის" კურიკულუმში თემის ნაცვლად მიმართულება წერია, სასურველია შეიცვალოს (ტექნიკური შეცდომაა) სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ სამივე საფეხურზე მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ტიპის დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. სამივე საფეხურზე კურიკულუმის შესაბამის გრაფაში აისახოს ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები: სახელმძღვანელოდან გვერდების მითითებით, ელექტრონული რესურსების ბმულები ჩასმულ იქნას საკითხების სახელწოდებების მითითებით.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების (ინგლისური და რუსული) დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შუალედურ სასწავლო მიზნებად განიხილება შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს და უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმების უმრავლესობაში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, სწავლება დაგეგმილია კონსტრუქტივიზმის პრინციპების შესაბამისად. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები, მათი წინარე ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება. კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების კრიტერიუმები.<br>კურიკულემებში ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალებების სახით, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, უვითარებენ მას კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, შემოქმედებით და პრობლემების გადაწყვეტის უნარებს.<br>შემუშავებული კურიკულუმები პასუხობს საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც უნდა გაიაროს მოსწავლემ გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.<br>**რჩევა:** სასურველია, **ესთეტიკური** აღზრდის ორივე საგნის კურიკულუმებში დაწყებით და საბაზო საფეხურებზე ნაჩვენები იყოს თემის/საკითხისთვის დათმობილი ჯამური საათების რაოდენობა. ასევე სასურველია, რომ მუსიკის ყველა კურიკულუმის რესურსების გრაფაში მოცემულ იქნას გრიფირებული სახელმძღვანელოს თემის/საკითხის შესაბამისი გვერდები და ჩაშენებულ იქნას საკითხთან რელევანტური დამატებითი რესურსების მოქმედი ლინკები.<br>სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების III-IV-V კლასების კურიკულუმებში მითითებულ იქნას სავალდებულო თემები.<br>სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში სასურველია, მითითებულ იქნას შემოქმედებითი დავალებების მხოლოდ ის რაოდენობა, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია მიმდინარე სასწავლო წლის ფარგლებში.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. |

| | |
|---|---|
| | ყველა საგნობრივი კურიკულუმი აგებულია მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით. კურიკულუმის ჩარჩო განსაზღვრულია შემდეგი კომპონენტებით: თემატური ერთეული, რომლის ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები და სწავლის შედეგები), თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ-მაგალითები, საკითხთან მიმართებით დაგეგმილი შემოქმედებითი პროდუქტი, სასწავლო რესურსების ველი .<br>მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მოსწავლის აქტიური ჩართულობა, მოტივაციის ამაღლება; გათვალისწინებულია მათი ინტერესები, შესაძლებლობები, წინარე ცოდნა, სკოლაში არსებული რესურსები.<br>**რჩევა:** სასურველია, მომდევნო სასწავლო წლის **სახელმწიფო ენის** კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების გასააქტიურებლად, მეტი ყურადღება დაეთმოს:<br>ა) საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს;<br>ბ) ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავებას;<br>გ)პროექტულ სწავლებას.<br>მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ შესაბამისი კონტექსტმაგალითებით.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული კომპონენტები იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირად არის სამიზნე ცნებები და შედეგები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანეთთან. მოცემულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც, ამუშავებს სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიანად შესწავლას. ამავე დროს ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე და ხელს უწყობს ისეთ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა: |

| | |
|---|---|
| | კრიტიკული, შემოქმედებითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობით, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარება.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის** |
| სპორტი | შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურებრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა მიიღეს რჩევა, რომელსაც გაითვალისწინებენ სამომავლოდ.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მოიცავს საჭირო კომპონენტებს (ცნებები, რუბრიკები, დავალებები), რაც დადებით შეფასებას იმსახურებს. თუმცა, დოკუმენტში იკვეთება შემდეგი ხარვეზები:<br>● სხვადასხვა კლასის კურიკულუმებში სვეტების დასახელებები (მაგ: „თემა“ და „მიმართულება“) და შინაარსი ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც არღვევს დოკუმენტის ერთიანობას. (I, II და V კლასების კურიკულუმებში გამოყენებულია სვეტი „თემა“, ხოლო III, IV და VI კლასებში — „მიმართულება“)<br>● რიგ შემთხვევებში დარღვეულია კავშირი მიმართულებებსა და სამიზნე ცნებებს შორის (მაგ: ცნება „ალგორითმი“ და ცნება „ინფორმაცია“ შეცდომითაა შეყვანილი „ციფრულ წიგნიერებაში“);<br>● საკითხთა კლასტერის სვეტში, ნაცვლად შინაარსობრივი საკითხებისა, მითითებულია დავალების იდეები. (I და II კლასები);<br>● გამოყენებულია მოძველებული ტერმინოლოგია (მაგ: „კომპიუტერის აგებულება“) და გამოტოვებულია მოქმედი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები („მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი“)<br>აუცილებელია კურიკულუმის სტრუქტურული და შინაარსობრივი დახვეწა საგნობრივ სტანდარტთან სრული შესაბამისობისთვის. |

| | |
|---|---|
| | **ხარვეზი:**<br>● კურიკულუმის ჩარჩო ცხრილში სვეტების დასახელება არ არის ერთგვაროვანი: I, II და V კლასებში გამოყენებულია „თემა“, ხოლო III, IV და VI კლასებში — „მიმართულება“, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსობრივად ორივე შემთხვევაში წარმოდგენილია მიმართულებები;<br>● სხვადასხვა კლასებში გამოყენებულია განსხვავებული და არათანმიმდევრული სვეტების სახელწოდებები: I, II და V კლასებში — „მაგალითი შედარებისთვის“, ხოლო III, IV და VI კლასებში — „ტექსტი/ტექსტები (კონტექსტი, მაგალითი)“. აღნიშნული მიუთითებს ერთიანი ტერმინოლოგიური სისტემის არარსებობაზე და არღვევს კურიკულუმის სტრუქტურულ ერთგვაროვნებას;<br>● სამიზნე ცნებები რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება მითითებულ მიმართულებებს. მაგალითად, I კლასში ცნება „ინფორმაცია“ და II კლასში ცნება „ალგორითმი“ დაკავშირებულია მიმართულება „ციფრულ წიგნიერებასთან“, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ საგნობრივ სტანდარტს;<br>● საკითხთა კლასტერის სვეტში მოცემულია დავალების იდეები და არა ცნების შესაბამისი შინაარსობრივი საკითხები;<br>● გამოყენებულია სამიზნე ცნება ძველი სტანდარტის მიხედვით — „კომპიუტერის აგებულება“ (III კლასი), ნაცვლად მოქმედი სტანდარტით განსაზღვრული ცნებისა„კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპებისა“;<br>● კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი სავალდებულო სამიზნე ცნება — „მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი“, რაც მიუთითებს სტანდარტის არასრულ დაფარვაზე.<br><br>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, ხარვეზის გამოსწორებას გეგმავს 2026 წლის სექტემბრისთვის. გათვალისწინებული იქნა, რა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ინდიკატორი 2.1.2.1. გადავიდა **მეტწილ შესაბამისობაში.** |

| | |
|---|---|
| | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026-სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს, რომ<br>●კურიკულუმის ჩარჩო ცხრილში სვეტების დასახელება ყველა კლასში იყოს ერთგვაროვანი და შეესაბამებოდეს შინაარსს.<br>● სამიზნე ცნებები გაიწეროს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად. ცნება **„ინფორმაცია“** გადატანილ იქნას და დაუკავშირდეს **„ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ)“** მიმართულებას. ცნება **„(ალგორითმი) პროგრამული კოდი“** დაუკავშირდეს **„კომპიუტერული ტექნოლოგიების“** მიმართულებას.<br>● საფეხურის ფარგლებში დამუშავდეს მოქმედი სტანდარტის შესაბამისი ყველა სამიზნე ცნება, მათ შორის „მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი“. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, რაც კარგად ჩანს მათ მიერ განხორციელებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის გაზრდას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა, თუ რესურსი არის მრავალფეროვანი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ გრძელვადიან მიზნებს, რომელიც წარმოდგენილია ცნებების იერარქიის სახით. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები.სასწავლო პროცესში ჩანს |

| | |
|---|---|
| | შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარების განვითარება, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მოცემულია ის თემები, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით.<br>უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზანს და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br>**რჩევა:** სასურველია, **საზოგადოებრივი მეცნიერებებისთვის,** სამივე საფეხურზე შესასწავლი თემის ფარგლებში დაკონკრეტეს ძირითადი საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა. დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თითოეულ საკითხთან მიმართებით, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| უცხოური ენები | დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებთან. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნისა და ისეთი უნარების გასავითარებლად როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და სრულყოფას.<br>**რჩევა**: სასურველია, **უცხოური ენების** კურიკულუმებში დაკონკრეტდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/ებით დამუშავდება; კურიკულუმებში გაიწეროს შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის საგნების სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული თემები, საკითხები და შესაბამისი სამიზნე ცნებები. სწავლების პროცესში უპირატესობა ენიჭება შემოქმედებით დავალებებს. შემოქმედებითი დავალებები ეყრდნობა საგნობრივ სამიზნე ცნებებს, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმში შერჩეული საკითხები დაფუძნებულია მოსწავლეებისთვის ნაცნობ კონტექსტზე და ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებითობას, კომუნიკაციას, თანამშრომლობას, ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებასა და ჩართულობას, რაც მათ საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევაში ეხმარებათ.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნები/ საფეხურის შედეგები, სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერი, სასწავლო რესურსი, შემოქმედებითი პროდუქტის სახით გაწერილი შუალედური მიზნები.<br>ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ისინი ყოველთვის ითვალისწინებენ წინა წლის პრაქტიკას. შესაბამისად, კათედრის ფარგლებში იგეგმება მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება და კურიკულუმთა მოდიფიცირება გაუმჯობესების მიზნით. მათ შორის ორიენტირი სწავლა-სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების უფრო აქტიურად გამოყენებაა.<br>**რჩევა:** სასურველია, **სახელმწიფო ენის** კურიკულუმებში დაზუსტდეს საფეხურის შედეგები და თითოეული თემის ფარგლებში გრძელვადიანი მიზნების დასამუშავებლად განსაზღვრული საკითხი. საბაზო საფეხურზე სასწავლო თემების პარალელურად მიეთითოს თემატური ბლოკები;<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული კომპონენტები იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. სწავლა-სწავლების |

| | |
|---|---|
| | გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირად არის სამიზნე ცნებები და შედეგები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანეთთან. მოცემულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც, ამუშავებს სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიანად შესწავლას. ამავე დროს ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე და ხელს უწყობს ისეთ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებიითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობით, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარება.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის** |
| სპორტი | სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმის შინაარსი ნაწილობრივ შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა ფიქსირდება რიგი არსებითი შეუსაბამობები. კერძოდ, კურიკულუმში გამოიყენება ძველი სტანდარტის შესაბამისი სამიზნე ცნება „კომპიუტერის აგებულება“. ამავდროულად, სამიზნე ცნება „მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი“ არ არის ინტეგრირებული სწავლების შინაარსში, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან შინაარსობრივ ხარვეზს.<br>თემატური ჩარჩოს ანალიზი აჩვენებს, რომ რიგ შემთხვევებში წარმოდგენილი საკითხები არ ემთხვევა ტექნოლოგიების საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ რეკომენდებულ შინაარსს. დაფიქსირებულია როგორც შინაარსობრივი ცვლილებები, ისე დამატებული თემები, რომლებიც არ არის პირდაპირ გათვალისწინებული მოქმედ სტანდარტით განსაზღვრულ თემატურ ჩარჩოში, რაც იწვევს სტრუქტურულ და შინაარსობრივ დისბალანსს.<br>**ხარვეზი:**<br>● გამოიყენება ძველი სტანდარტის შესაბანისი სამიზნე ცნება „კომპიუტერის აგებულება“;<br>● სამიზნე ცნება „მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი“ არ არის ინტეგრირებული კურიკულუმში; |

| | |
|---|---|
| | • თემატური ჩარჩოს ნაწილი საკითხებისა არ შეესაბამება მოქმედ საგნობრივ სტანდარტს;<br>• დაფიქსირებულია დამატებული თემები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ტექნოლოგიების საგნობრივი სტანდარტით რეკომენდირებულ თემატურ ჩარჩოში;<br>• იკვეთება თემატური ჩარჩოს შინაარსობრივი და სტრუქტურული დისბალანსი.<br><br>სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, ხარვეზის გამოსწორებას გეგმავს 2026 წლის სექტემბრისთვის. გათვალისწინებული იქნა, რა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ინდიკატორი 2.1.2.2. გადავიდა **მეტწილ შესაბამისობაში.**<br><br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2026-სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს მოქმედი სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმების შემუშავება საგან "კომპიუტერული ტექნოლოგიებისთვის". |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდატებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

**3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფის მიმართულებით საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში ჩაშენებულ რესურსებში ჩანს როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ელექტრონული რესურსები; მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია , მაგრამ პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ აქვთ ქიმიური რეაქტივების ნაკლებობა ლაბორატორიაში ; არსებული მწირ რესურსებს კი აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ მოკლევადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო სასკოლო საწავლო ქიმიური რეაქტივებითა და ინვენტარით, რადგან ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კვლევითი კომპონენტის გაძლიერება.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში ძირითად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსები (მაგალითად: რუკა, სახელმძღვანელოს რვეული). ასევ წარმოდგენილია ელექტრონული რესურსები (სამივე საფეხურზე, განსაკუთრებით "მე და საზოგადოებაში"და "მოქალაქეობაში") . დასახელებულ რესურსებში იკვეთება მიზნობრიობა.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | სწავლების სამივე საფეხურზე, სკოლა უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობას სასწავლო მიზნების მისაღწევად. მასწავლებლებს აქვთ საშუალება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და სწავლის მეთოდებისა და მიზნების შესაბამისად გამოიყენონ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. უცხოური ენების კათედრა ძირითადად იყენებს გრიფმინიჭებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს, ასვევე, დამატებით საგანმანათლებლო რესურსს (მათ შორის, ელექტრონულს, რომლის ბმულები წარმოდგენილია კურიკულუმებში). აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ კურიკულუმებში გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო კურიკულუმებით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ესთეტიკური მიმართულების საგნებში სწავლების პროცესში კათედრა იყენებს როგორც გრიფრებულ სახელმძღვანელოებს, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსპერტების მიერ შემუშავებულ სასწავლო მასალებს, ტელესკოლის ჩანაწერებს და სხვადასხვა საგანმანათლებლო ვებგვერდს. გარდა ამისა, კათედრას შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს სხვადასხვა საჭირო რესურსი: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო თვალსაჩინოებები, გეომეტრიული ფიგურები, მხატვრების ალბომები, პიანინო, დისკები, მუსიკალური ინსტრუმენტების პლაკატები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისთვის შერჩეული ძირითადი და დამხმარე რესურსები ერთმანეთთან შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების გათავისებას სხვადასხვა თემატურ კონტექსტში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.<br>**რჩევა:** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მუსიკის მე-3 კლასის კურიკულუმში არის გაპარული ტექნიკური შეცდომა - ძირითად რესურსად მითითებულია გამომცემლობა "წყაროსთვალის" სახელმძღვანელო, რომელსაც არ აქვს მინიჭებული გრიფი. კურიკულუმში უნდა მითითებულ იქნას ის გრიფირებული სახელმძღვანელო, რომლითაც ხელმძღვანელობს სკოლა, "წყაროსთვალის" სახელმძღვანელო კი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე რესურსი. ასევე სასურველია, რომ მუსიკის ყველა კურიკულუმში იყოს ჩაშენებული დამხმარე რესურსების მოქმედი ლინკები.<br>სასურველია გადაიხედოს რესურსები<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>სასწავლო პროცესი დაგეგმილია ძირითადი - გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე - როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსების გამოყენებით. |

| | |
|---|---|
| | სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერისა და ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, წიგნადი ფონდი, სხვა რესურსები. წვდომა ინტერნეტთან. )<br>მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, სკოლის სარეაბილიტაციო პერიოდში ერთგვარ ბარიერს წარმოადგენდა. თუმცა ამ ეტაპზე სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავებისას აღნიშნული პრობლემა აღმოფხვრან. საგაკვეთილო პროცესი კი იყოს მეტად მრავალფეროვანი და მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული.<br>**რჩევა:** სასურველია, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების და საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ.რესურსების (ანიმაციების, ფილმების, პოდკასტების) გამოყენებაზე. (სამივე საფეხურზე)<br>კონტექსტური პარალელებისთვის დამატებით უცხოური და ქართული ლიტერატურის შეთავაზება. რესურსის, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში. (საბაზო,საშუალო)<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში, შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამისად, მითითებულია რესურსები არა მხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, იმ საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის** |

| | |
|---|---|
| სპორტი | სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისთვის** |
| ტექნოლოგიები | სკოლას წარმოდგენილი აქვს ძირითადი და დამხმარე რესურსების სრული ჩამონათვალი კათედრის ოქმის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია რესურსების ვალიდაციის მოქმედ წესთან. კურიკულუმებში რესურსების გამოყენება დაგეგმილია სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად და ზოგადად უზრუნველყოფს სწავლების მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. თუმცა არ კონკრეტდება დამხმარე რესურსად მითითებულ სახელმძღვანელოს შესაბამისი კლასი (მე-5 კლასი სახელმძღვანელოა, თუ მე-6 კლასის). წარმოდგენილი მასალები მიუთითებს, რომ სკოლა ცდილობს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას შესაბამისი რესურსული ბაზით და სწავლების ორგანიზებას კურიკულუმთან კავშირში.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**<br>**რჩევა**:<br>სასურველია, საგან **ტექნოლოგიების** კურიკულუმში, რესურსების აღწერის უფრო მეტი დაკონკრეტება და ერთგვაროვნება, კერძოდ:<br>● დამხმარე რესურსად მითითებულ სახელმძღვანელოში აუცილებელია კლასის დაზუსტება, რათა ცალსახად იკვეთებოდეს მისი გამოყენების სფერო;<br>● შემოქმედებითი დავალებების რესურსებთან მიმართებით საჭიროა მიეთითოს კონკრეტულად რომელი კლასის სახელმძღვანელო გამოიყენება;<br>● დამხმარე სახელმძღვანელოს გამოყენება კურიკულუმში მიზანშეწონილია იყოს დაკავშირებული კონკრეტულ საკითხებთან ან თემებთან, რათა მკაფიოდ ჩანდეს მათი ფუნქციური როლი სასწავლო პროცესში (მე-3 კლასის კურიკულუმი). |

| | |
|---|---|
| | სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს უფრო მეტი მრავალფეროვანი მატერიალური და ელ.რესურსები, ვიდრე განსაზღვრულია ძირითადი და დამატებითი რესურსებითა თუ საფეხურის კურიკულუმით. ეს უზრუნველყოფს რესურსების გამოყენების გამჭვირვალობას და კურიკულუმის უფრო სტრუქტურირებულ დაგეგმვას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში ასახულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში. კერძოდ: მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

**4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები, სასწავლო მასალა კი მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მოსწავლეთა ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში წარმოდგენილია მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში მოსწავლეთა ინდივიდუალური |

| | |
|---|---|
| | საჭიროებების გათვალისწინებით, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, მათთან მუშაობა მიმდინარებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | სწავლების სამივე საფეხურზე უზრუნველყოფილია განათლების მიღება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. წლის დასაწყისში, მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების მიმართულებით ჩართულ სპეციალისტებთან ერთად, შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ქმნიან ისეთ შემოქმედებითი/ კომლექსური ბუნების დავალებებს, რომლის ადაპტირება და მოდიფიცირება მარტივად შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში. უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებშიც განსაზღვრულია: სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები რომლებიც ესგ-თი განსაზღვრულ სასწავლო შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სასწავლო პროცესი მოიაზრებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებით ტიპის დავალებები იძლევა მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტელექტისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას. მასწავლებლებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვათ, რომ სსმ ბავშვებთან მუშაობისას ყოველთვის ხდება მათი უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. სწავლების პროცესში მასწავლებელები მოსწავლეებს, მზაობის დონის გათვალისწინებით, სთავაზობენ განსხვავებული სირთულისა და ფორმატის დავალებებს. დაბალი მზაობის მქონე მოსწავლეებისათვის მიღებული პრაქტიკაა დავლებების გამარტივება, მხარდამჭერი რესურსებისა და დამატებითი ინსტრუქციების მიცემა, მაღალი მზაობის მქონე მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შემოქმედებით დავალებებში უფრო მაღალი სააზროვნი უნარები |

| | |
|---|---|
| | გამოავლინონ. გარდა ამისა, ხდება დაავალებების ადაპტირება არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის დოკუმენტაციაში ვეცნობით, სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლას შემუშავებული აქვს შესამაბისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.<br>სკოლაში გამოყოფილია რესურსოთახი შესაბამისი რესურსებით, ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.<br>სსგ-ის თანახმად, 2025-2026 სასწავლო წელს ციხისძირის საჯარო სკოლაში ირიცხება 12 სსსმ მოსწავლე.<br>ინტერვიუებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ ინკლუზიურ სწავლებასა დიფერენცირებულ მიდგომებს: მოსწავლის სწავლების ტემპის, სირთულის ხარისხის, ინტერესების შესაბამისად.<br>ხაზგასმით უნდა აღინიშნოს კვლევის ანგარიში - "რა გამოწვევების წინაშე არიან ციხისძირის საჯარო სკოლის მასწავლებლები?", სადაც რამდენიმე გამოწვევა გამოიკვეთა, მათ შორის: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა სწავლების პროცესში არსებული სირთულეები; ინკლუზიური განათლება; თანამედროვე მეთოდოლოგიათა და მიდგომათა საჭიროება.<br>**რჩევა:** სასურველია, საგან **სახელმწიფო ენაში,** სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება;<br>მიზნობრივი სოციალური პროექტების განხორციელება.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.** |
| მათემატიკა | კათედრის წევრებთან გასაუბრებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების უმთავრესი მიზანია სკოლის თითოეულ მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან განათლებაზე. სკოლაში შეიქმნას მათზე |

| | |
|---|---|
| | მორგებული სასწავლო გარემო,სადაც მოსწავლე შეძლებს თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას, შესაძლებლობების რეალიზებას . სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა შემოქმედებით დავალებებს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის** |
| სპორტი | სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელო ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისთვის** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე სწავლების პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური პრინციპების დაცვით. მოსწავლეები, მათ შორის სსსმ მოსწავლეები, აქტიურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მოსწავლეებს საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა (ისგ) არ ესაჭიროებათ, მათთვის უზრუნველყოფილია მონაწილეობა შესაბამისი მხარდაჭერით.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაცია - დიფერენცირებული დავალებები, მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები და მასწავლებლის ინტერვიუ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის შესახებ - ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც დიფერენცირებული სწავლება, ასევე სწავლების უნივერსალური დიზაინის ელემენტები, რაც გულისხმობს მასალისა და დავალებების მრავალფეროვანი გზებით მიწოდებას, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს ჩართულობა და შედეგის მიღწევა. |

| | |
|---|---|
| | აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეიძლება ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად, რადგან სასწავლო პროცესი ზოგადად ეფუძნება ინკლუზიური განათლებისა და სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ შესაძლებლობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებთ სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო კათედრას შუმუშავებული აქვს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. მტკიცებულებად წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს განმავითარბელი შეფასების ეფექტიანობაზე სწავლების როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე, რადგან განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლის განვითარების დინამიკის ხელმშემწყობი ინსტრუმენტი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში, სამივე საფეხურზე გამოყენებულია შეფასების ორივე ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. შეფასების რუბრიკები მოწოდებულია |

| | |
|---|---|
| | სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს , რომ მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება და მას ხშირად იყენებენ.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| უცხოური ენები | სწავლების სამივე საფეხურზე ( დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მოსწავლეთა შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. იგი უკავშირდება არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და შეფასების სხვა ინსტრუმენტების ნიმუშები სამივე საფეხურის შემთხვევაში. შეფასების მეთოდები და საშუალებები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას.<br>უცხოური ენების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი, შესაბამისად, სწავლების სამივე საფეხურზე შეფასება ხდება მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაყრდნობით.<br><br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრის მიერ წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებების ნიმუშები. შეფასებების ნაწილი (დაწყებითი საფეხურისთვის) ესგ-ს შესაბამისად, სამიზნე ცნებებზეა დაფუძნებული. კათედრამ ასევე წარმოადგინა პრაქტიკული ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმები. არსებული შეფასების სისტემის მეშვეობით შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვა, მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი, მხარდაჭერის მექანიზმის შექმნა მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის.<br>**რჩევა:** სასურველია კათედრამ ყველა საფეხურისთვის შეიმუშავოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული შეფასების კრიტერიუმები.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სასკოლო სასწავლო გეგმის ჩანაწერის თანახმად, სკოლაში მოქმედებს სამკომპონენტიანი შეფასების სისტემა.<br>შეფასების სისტემა მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიის(დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) შემოწმებაზე. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.<br>სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, აგრეთვე, განმავითარებელი შეფასება - შესაბამისი რუბრიკებით.<br>სკოლაში არსებული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>**რჩევა: სასურველია, სახელმწიფო ენის** კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.** |
| მათემატიკა | დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.<br>წარმოდგენილი რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. მათ წარმოადგინეს რუბრიკები ზოგიერთი თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებების შესაბამისად.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის**<br>**რჩევა:** საურველია, **საგან მათემატიკის** თითოეული დავალებისთვის შექმნან და გამოიყენონ კონკრეტული თემის/საკითხის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით |
| სპორტი | სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ განმათარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ის მოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისთვის** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალკომპონენტიანი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ზოგადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს და უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებას.<br>თუმცა, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის (სოლო ტაქსონომიის) გამოყენებისას გამოვლენილია შინაარსობრივი შეუსაბამობა: კრიტერიუმების აღწერა მიემართება სამიზნე ცნება „ინფორმაციას", მაშინ როდესაც დავალებაში განსაზღვრულია სამიზნე ცნება - „პირობითი ნიშნები".<br>ამის მიუხედავად, წარმოდგენილი შეფასების სისტემის საერთო ანალიზი აჩვენებს, რომ მოსწავლის შეფასების მოდელი არსებითად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**<br>**რჩევა: საგან ტექნოლოგიებისთვის**<br>• შეფასების კრიტერიუმები სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სამიზნე ცნებებთან<br>• სოლო ტაქსონომიის გამოყენებისას უზრუნველყოფილ იქნას სწორი ცნების შერჩევა და აღწერა;<br>• შეფასების რუბრიკები პერიოდულად გადაიხედოს ესგ-სთან შესაბამისობის მიზნით |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*

- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ისგ-ს შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;*
- *ისგ-ს ნიმუშები;*
- *პრაქტიკული ნამუშევრის შეფასების რუბრიკები (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება);*
- *შემოქმედებითი დავალება სსმ მოსწავლისთვის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება);*
- *ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმებზე (I-VI კლასები) თანდართული დავალებათა ბარათები;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *კათედრების სხდომების ოქმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა  და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად კურიკულუმში გაწერილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებები, შესაბამისი აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამას ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. კურიკულუმში გაწერილი დავალებები და შესაბამისი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის გათვალისწინებით. სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები ახორციელებენ სასწავლო პროცესს კურიკულუმის შესაბამისად, ამასთან, მუდმივად აკვირდებიან რამდენად ეფექტიანად მუშაობს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები. წლის ბოლოს, კათედრის წევრები განიხილავენ შედეგებს, საკუთარი დაკვირვებისა და კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მიღებული დასკვნების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმებს.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და პედაგოგებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სწავლების პროცესში თემების უმრავლესობის შესწავლა მიმდინარეობს შემოქმედებითი დავალებებზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე ხდება შედეგების გაანალიზება და გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ახდენენ კურიკულუმის მოდიფიცირებას. |

| | |
|---|---|
| | აღნიშნულ პროცესებს აკონტროლებს სკოლაში არსებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მექანიზმები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი იგეგმება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომლის შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სასკოლო კურიკულუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: საგნობრივ კურიკულუმებს; სადამრიგებლო საათს, სასწავლო კალენდარს, შეფასების სისტემას. სამივე საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სკოლაში მიმდინარე ძირითად, დამხმარე და მმართველობითი პროცესები. ზემოთქმულს სკოლა ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, სასწავლო პროცესის შეფასების დოკუმენტაციით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის** |
| სპორტი | პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისთვის** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ზოგადად დაგეგმილია კურიკულუმის მოთხოვნებთან |

| | |
|---|---|
| | შესაბამისობაში, თუმცა რიგ შემთხვევებში ფიქსირდება შინაარსობრივი შეუსაბამობები. კერძოდ, გამოიყენება ძველი სტანდარტის შესაბამისი სამიზნე ცნება - „კომპიუტერის აგებულება", ხოლო სამიზნე ცნება - „მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი" - არ არის ასახული საგნობრივ კურიკულუმში, შესაბამისად, არ იფარება ცნების შესაბამისის საკითხებიც. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს კურიკულუმის შინაარსობრივი განახლებისა და მისი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**<br>**რჩევა:** სასურველია, **საგან ტექნოლოგიებისთვის**<br>● განახლდეს კურიკულუმი და უზრუნველყოფილ იქნას მისი სრული შესაბამისობა მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან;<br>● ჩანაცვლდეს ძველი სტანდარტის სამიზნე ცნება „კომპიუტერის აგებულება" თანამედროვე შინაარსით „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები";<br>● კურიკულუმში ინტეგრირდეს სამიზნე ცნება „მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი" შესაბამისი საკითხებითა და აქტივობებით;<br>● უზრუნველყოფილ იქნას სამიზნე ცნებების სრული და თანმიმდევრული დაფარვა სასწავლო პროცესში. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრა გეგმავს, გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სწავლების პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებსა და

მზაობაზე. პედაგოგები აქტიურად ცვლიან დაგეგმილ აქტივობებს, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ადაპტირებულ რესურსებს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა სხვადასხვა ფორმით ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა ითვალისწინებს მასწავლებელთა გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც უზრუნველყოფს გამოწვევებზე დროულ რეაგირებას და სწავლა-სწავლების პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას.

**ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

### 3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. ბუნებისმეტყველების კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) სამივე საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ შეფასების ფორმებს აცნობენ მშობლებს მშობელთა კრებაზე წლის დასაწყისში.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| უცხოური ენები | კათედრას გაწერილი აქვს შეფასების სისტემა სწავლების სამივე საფეხურისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ საგნობრივი კათედრები ურთიერთთანამშრომლობით ქმნიან კონკრეტული სასწავლო აქტივობის (შემაჯამებელი დავალება, სასწავლო პროექტი, კომპლექსური დავალება და სხვ.) შეფასების |

| | |
|---|---|
| | რუბრიკებს, რომელიც ეყრდნობა შეფასების მთავარ პრინციპებს. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებს გააცნოს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეფასდებიან მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობაში ან დავალებებზე მუშაობისას, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას. მნიშვნელოვანია რომ, შეფასება მიემართება ესგ-ში განსაზღვრულ საფეხურეობრივ შედეგებს კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტურობას.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეთათვის ცნობილია და გამოკრულია საკლასო ოთახებში, შეფასების სისტემის შესახებ ინფორმირებულნი არიან მშობლებიც. სკოლაში შექმნილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. შემოქმედებითი დავალებების შეფასება ხდება ცნებებზე ორიენტირებული კრიტერიუმების საშუალებით.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | არსებული დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br>ამას მოწმობს მტკიცებულების სახით გადმოგზავნილი, შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, ვერიფიცირების მასალები.<br>სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვას, განხორციელების პროცესს, მტკიცებულებათა შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას.<br>**რჩევა:** სასურველია, **სახელმწიფო ენის** შემაჯამებელ დავალებებს მიეთითოს სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება და კრიტერიუმით განსაზღვრული ქულები ჩაშლილი სახით დაკონკრეტდეს.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | მათემატიკის კათედრაზე იქმნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა საგნობრივ სტადარტების ინდიკატორებსა და შედეგებს.შეფასება ხორციელდება გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შედგენილია ობიექტურად სამართლიანობის პრინციპის დაცვით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის** |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (რომელიცაა შიდა სასკოლო ფესტივალები და კონფერენციები), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისთვის** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში შეფასების სისტემა ძირითადად გამართულია და ეფუძნება ვერიფიკაციის მექანიზმებსა და შეფასების ვალიდაციის პრინციპებს. შეფასების ინსტრუმენტების უმრავლესობა შეესაბამება ესგ-სა და საგნობრივ სტანდარტს, რაც მიუთითებს სისტემის სანდოობაზე, ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზე. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში გამოვლინდა, რომ მიუხედავად თემების ესგ-სთან შესაბამისობისა, კონკრეტული კლასის კურიკულუმში აღნიშნული თემები არ არის გათვალისწინებული.<br>დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ძირითადად თანმიმდევრული და ხარისხიანია, თუმცა საჭიროებს ცალკეული თემების კლასის კურიკულუმთან უკეთეს ჰარმონიზაციას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სრული შესაბამისობა სწავლების შინაარსთან.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**<br>**რჩევა:** |

| | |
|---|---|
| | სასურველია, საგან **ტექნოლოგიების** შეფასების ინსტრუმენტების დაგეგმვისას უზრუნველყოფილი იყოს არა მხოლოდ თემების ესგ-სთან შესაბამისობა, არამედ მათი მკაფიო ასახვა კონკრეტული კლასის კურიკულუმში.<br>იმ შემთხვევაში, თუ თემა ესგ-სთან შესაბამისია, მაგრამ არ არის გათვალისწინებული კლასის კურიკულუმში, მიზანშეწონილია მისი გადახედვა, ასაკობრივ დონესთან ადაპტირება ან კურიკულუმში შესაბამისი კორექტირების შეტანა, რათა შეფასება სრულად შეესაბამებოდეს სწავლების შინაარსსა და მოსწავლეთა განვითარების საფეხურს. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

**4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ის უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას.
მშობლები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას მოსწავლის შეფასების შესახებ და სასწავლო წლის დასაწყისში ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს და სემესტრული გამოცდების ორგანიზების პროცედურებს.კათედრების სხდომებზე მიმდინარეობს დავალებებისა და შეფასების ანალიზი, ამრიგად, შეფასების სისტემა ფუნქციონირებს სტრუქტურირებულად და უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობას, გამჭვირვალობასა და სანდოობას.
**ინდიკატორის 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ სკოლას ორგანიზებულად აქვს დაცული მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ჩანაწერები და საგნობრივი კათედრების მიხედვით შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოები. გასაუბრებით დგინდება, რომ

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით.

**რჩევა:** სასურველია, შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შენახვის სავალდებულოდ შესრულებისთვის, ჩანაწერი გაკეთდეს დოკუმენტურადაც, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის ან სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტში.

**ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმი;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები.*

**2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნებში კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრაზე აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ბმულები მოცემულია კურიკულუმებში)და ვიდეო გაკვეთილებს, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება..<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც დასტურდება გასაუბრებით. წინასწარ განსაზღვრული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების ეფექტიანად |

| | |
|---|---|
| | მიღწევას. კათედრას აქვს მზაობა შეარჩიონ დამხმარე რესურსები, რომლებიც კონკრეტულ კლასში მოსწავლეთა საჭიროებებს შეესაბამება.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი და დამხმარე რესურსის ჩამონათვალი და ბმულები. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სასწავლო მიზნების მისაღწევად.<br>**რჩევა:** სასურველია, **უცხოური ენების** კურიკულუმებში, რესურსებისთვის განკუთვნილ გრაფაში, მითითებული იყოს ყველა ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე ივკეთება, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლებისას გამოიყენება როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე თემებთან/საკითხებთან შესაბამისი დამხმარე რესურსები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სახალისო და მრავალფეროვანი აქტივობების შესასრულებლად, კათედრისთვის მნიშვნელოვანია დამხმარე სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა და საგაკვეთილო პროცესში მათი აქტიური გამოყენება. დამხმარე რესურსები ემყარება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსპერტების მიერ შემუშავებულ სასწავლო მასალებს, ტელესკოლის ჩანაწერებს და სხვადასხვა საგანმანათლებლო ვებგვერდს. ძირითადი და დამხმარე რესურსები - თემებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოს გვერდები და ინტერნეტ ბმულები კურიკულუმებში წარმოდგენილია თემების შესაბამის რესურსებში.<br>**რჩევა:** სასურველია, რომ მუსიკის ყველა კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოების გვერდები და დამხმარე ინერნეტ-რესურსების მოქმედი ლინკები (აღნიშნული რესურსების ლინკები მოცემულია მხოლოდ კურიკულუმების ნაწილში).<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში ვეცნობით, რომ კურიკულუმებში განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი არჩეულია სასწავლო კათედრების მიერ, პედაგოგთა უშუალო მონაწილეობით.<br>საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადი - გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოებია, გამრავალფეროვნების მიზნით კი (სამივე საფეხურზე) მასწავლებლები იყენებენ თვალსაჩინოებებს, პლაკატებს, მაკეტებს, ელ.რესურსებს.<br>კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის გამოყენება სასწავლო პროცესში დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით, სასწავლო პროცესზე დაკვირვებით და თემის ფარგლებში გაკეთებული რეფლექსიებით.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.** |
| მათემატიკა | შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსებს მათემატიკაში, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და ზოგიერთ თემაში - დამხმარე რესურსი.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის** |
| სპორტი | პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისთვის** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესში ძირითადად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სწავლების შინაარსის შესაბამისობას დაგეგმილ შედეგებთან. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში დამხმარე რესურსების აღწერა არასრულადაა წარმოდგენილი (მაგ., არ არის მითითებული გამოყენების კონკრეტული კლასი ან მიზნობრივი დანიშნულება).<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე** |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:**<br>სასურველია, საგან **ტექნოლოგიებისთვის** სკოლამ სრულად დააკონკრეტოს დამხმარე რესურსები კურიკულუმში — მიუთითოს კლასი. მაგალითად, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ავტ.ჯამასპიშვილი, კლასი 5; და სხვა. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ცოდნის მიღება/გაღრმავებას.<br>**რჩევა:** სასურველია, **დაწყებითი I-IV კლასების ბუნებისმეტყველების** კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითებული იყოს ყველა რესურსი, ასევე კონკრეტული ელ.რესურსების ბმულები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

## 2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, სამივე საფეხურზე რესურსების შერჩევა ხდება საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ; პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ასევე აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ესა თუ ის რესურსი რამდენად შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული დამხმარე რესურსი შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ფლობენ რესურსის შერჩევის სტრატეგიებს და ყურადღებას აქცევენ სანდოობას, მოქნილობას, სამიზნე ჯგუფის თავისებურებებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი. |

| | |
|---|---|
| | დამატებითი რესურსის შერჩევისას პრიორიტეტი ენიჭება ოფიციალურ ვებ-გვერდებს და ელექტრონულ საგანმანათლებლო პლატფორმებს. კათედრის მიერ გამოყენებულ დამხმარე სასწავლო რესურსს გავლილი აქვს შესაბამისი ვალიდაცია.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სიღრმისეული, სახალისო, მრავალფეროვანი სწავლების დანერგვის მიზნით კათედრისთვის მნიშვნელოვანია დამხმარე სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა და საგაკვეთილო პროცესში მათი აქტიური გამოყენება. მასწავლებლები ცდილობენ მრავალფეროვანი აუდიო-ვიზუალური მასალის გამოყენებას (მაგალითად, კურიკულუმებში მოცემულია ტელესკოლის ბმულები, ორივე საგნის მასწავლებლები აქტიურად მიმართავენ სამინისტროს მიერ შექმნილ დამხმარე მასალას). დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრის სხდომებზე ძირითადი რესურსის შერჩევასთან ერთად. კათედრის პირველ სხდომაზე კათედრის თავმჯდომარის მიერ შეთავაზებულ იქნა დამხმარე რესურსების ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა პედაგოგის მიერ. კათედრის მიერ შერჩეული ვალიდაციის კრიტერიუმების შესაბამისად, კურიკულუმებში ლინკების სახით წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები შინაარსობრივად გამართულია, შეესაბამება ასაკობრივ თავისებურებებს, სანდო და უსაფრთხოა, არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან დისკრედიტაციულ ელემენტებს<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის, მათ შორის ვალიდაციის მექანიზმის, და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.<br>სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. აღნიშნული დასტურდება კათედრის პირველი ოქმის ჩანაწერითაც.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე განიხილება ეს საკითხი და მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის** |
| სპორტი | გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისთვის.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილია დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი. მასწავლებლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული რეუსრსები შესაბამისობაშია ვალიდაციის წესთან. კათედრის სხდომის ოქმით დასტურდება, რომ კათედრის სხდომაზე შეთანმებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები,<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**<br>**რჩევა:** საგან **ტექნოლოგიებისთვის**<br>● სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილ იქნას უფრო მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების გამოყენება;<br>● ძირითადი რესურსების პარალელურად ინტეგრირდეს დამატებითი ვიზუალური, ციფრული და პრაქტიკული მასალები;<br>● გაძლიერდეს ციფრული რესურსების (ინტერაქტიული პლატფორმები, სიმულაციები, ვიდეომასალა) გამოყენება;<br>● ხელი შეეწყოს რესურსების შერჩევის გაფართოებას მოსწავლეთა საჭიროებებისა და განსხვავებული სწავლის სტილების გათვალისწინებით. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც. გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული |

| | |
|---|---|
| | ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული, შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია , სასკოლო ინვენტარი სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად. საგნებში: ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგია მოსწავლეთა კვლევითი და პრაქტიკული უნარების გასავითარებლად აუცილებელია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულფასოვანი ფუნქციონირება. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება,რომ ლაბორატორიაში ქიმიური რეაქტივებისა და ხელსაწყოების მწირი რაოდენობაა. საბუნებისმეტყველო დისციპლინების სასწავლო შედეგების მისაღწევად აუცილებელია სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის საჭირო რეაქტივებითა და ინვენტარით აღჭურვა, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პრაქტიკული და კვლევითი უნარების სრულყოფილი განვითარებისათვის. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. სასკოლო გარემო , სახელმძღვანელოები, რესურსები და სასწავლო სივრცე, შესაბამისობაშია კლასში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით |

| | |
|---|---|
| | დაგეგმილი სასწავლო აქტივობები, პროექტები ხელს უწყობს კურიკულუმით დასახული შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| უცხოური ენები | საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის, სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს ინტერნეტი, კომპიუტერები, პროექტორები და ბიბლიოთეკა რომლით სარგებლობა განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის პერსონალისთვის.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი. პედაგოგებს საშუალება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერები და წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნეისთვის სკოლას გააჩნია შემდეგი დამატებითი ინვენტარი: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, გეომეტრიული ფიგურები, მხატვრების ალბომები, პლაკატები, სახატავი მასალა. მუსიკის საგნისთვის პედაგოგების განკარგულებაშია პიანინო, მუსიკალური მასალის დისკები, მუსიკალური საკრავების პლაკატები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს წვდომას დამატებით საგანმანათლებლო რესურსებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკური აღზრდის საგნებისათვის, რადგან აუდიო-ვიდეო აპარატურისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებასა და ესგ-ს საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, წიგნადი ფონდი, რესურსოთახი, სხვა რესურსები. წვდომა ინტერნეტთან. ) |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.** |
| მათემატიკა | სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის** |
| სპორტი | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფხურისთვის.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის თვითშეფასების განაცხადისა და მასწავლებლის ანგარიში საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით - ლეპტოპებით, პროექტორებით, wi-fi და სხვა. ლეპტოპების რაოდენობა ლაბორატორიაში სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლს შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებული ყველა პედაგოგი ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას და საკმარისია შესაბამისი კურიკულუმების განხორციელებისათვის.

**ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები;
- ესთეტიკური აღზრდის საგნების კათედრის სხდომის ოქმი;
- დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაციის წესი;
- შეფასების სქემები და რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების გამოვლენას, ასევე სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების იდენტიფიცირებასა და მათ გადაჭრას. მონიტორინგი ხორციელდება კათედრის წევრთა ურთიერთდასწრებით, უკუკავშირისა და რეკომენდაციების გაცემის გზით.

**ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია მონიტორინგის პროცესი, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებასა და სასწავლო პროცესზე სისტემურ დაკვირვებას. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სირთულეები და განისაზღვროს მათი გადაჭრის გზები. კურიკულუმის მონიტორინგი ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, მოსწავლეთა შედეგების ანალიზითა და შეფასების რუბრიკების გამოყენებით მონიტორინგი ეფუძნება კათედრების ანგარიშებს, თვითშეფასების შედეგებსა და შემაჯამებლების ანალიზებს.

**ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში მოქმედი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, საჭიროებების განსაზღვრისთვის და დროული უკუკავშირის უზრუნველსაყოფად. პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, რომელიც ერთობლივად ადგენს სირთულეების გადაჭრის გზებს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე მონიტორინგის პროცესში გათვალისწინებულია მშობლების მონაწილეობაც, რაც ინტერვიუების დროსაც დადასტურდა. ამასთან, აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასა და მოტივაციის გაძლიერებას, რაც თავად პედაგოგებმაც აღნიშნეს.

**ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები.*

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**
   სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სისტემური და ინტეგრირებული მიდგომით, რომელიც მოიცავს ჰოლისტურ ხედვას. კათედრები იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს: შეფასების რუბრიკებს, შემოქმედებით დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს. სამომავლოდ დაგეგმილია შეფასების სისტემის კიდევ უფრო გამყარება მასწავლებელთა თვითშეფასების, მოსწავლეთა უკუკავშირისა და ხარისხის განვითარების ჯგუფების რეკომენდაციების საფუძველზე.
   **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**
   სკოლა სამუშაო პროცესის შეფასებას ახორციელებს მრავალმხრივი მიდგომით, რომელიც მოიცავს როგორც აკადემიურ მიმართულებას, ასევე დამატებით საგანმანათლებლო აქტივობებს, სასკოლო ღონისძიებებში ჩართულობასა და პროექტულ საქმიანობას, რაც მოსწავლეთა საერთო განვითარებაზე აისახება. შეფასების პროცესში ასევე გათვალისწინებულია მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირი.
   **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**
   სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს, შემაჯამებელი ანალიზის ფორმებსა და შემოქმედებითი დავალებების შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს მონაცემების მიზნობრივ

შეგროვებასა და მათ ანალიზს. მოსწავლეთა შესახებ ინფორმაცია ძირითადად გროვდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე.

**ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

ვიზიტისას დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს მასზე მოქმედ მრავალ ფაქტორს. შეფასების პროცესში განიხილება როგორც აკადემიური შედეგები, ისე გარემო პირობები, დროის მართვა, რესურსების ხელმისაწვდომობა და ფსიქო-ემოციური მდგომარეობა.განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფუნქციურ-კომპეტენციური უნარების განვითარებას და იმ სოციალურ ფაქტორებსაც, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლაზე.

**ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სასწავლო წლის განმავლობაში კათედრების შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და განიხილავენ საგაკვეთილო პროცესში, ასევე წერითი დავალებების შესრულებისას გამოვლენილ საჭიროებებსა და სირთულეებს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ხდება არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გათვალისწინება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება როგორც უკუკავშირი, რომელიც საფუძვლად უდევს მომავალი სასწავლო წლის განახლებულ კურიკულუმებში შესაბამისი ცვლილებების.

**ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც აღწერილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი და ჩართული მხარეების ფუნქცია-მოვალეობები. გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, საუკეთესო პრაქტიკული მაგალითები,

სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციები და შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებების შედეგები. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე მუშავდება კურიკულუმის განახლებული ვერსია. სკოლა ახორციელებს მონიტორნიგს და მასზე დაყრდნობით აფასებს შედეგებს

**ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**თარიღი**: 05. 06. 2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: